# საერთო გაზეთი

№6 (783)
ოთხშაბათი
19 თებერვალი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.








# კრიზისი, რომელსაც განვიცდით, ჩვენი საკუთარი ქმედებების შედეგია

## ამონარიდები ვიცე-პრეზიდენტ ჯეიმს დევიდ ვენსის გამოსვლიდან მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე




მადლობას გიხდით და მადლობა ყველას, ვინც აქ შეიკრიბა. განსაკუთრებული მადლობა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის მასპინძელს ასეთი შესანიშნავი ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობისთვის.

ჩვენ ამ კონფერენციაზე შევიკრიბეთ უსაფრთხოების საკითხების განსახილველად. ჩვეულებრივ, ჩვენ ვგულისხმობთ ჩვენი გარე უსაფრთხოების საფრთხეებს. დღეს აქ ვხედავ ბევრ გამორჩეულ სამხედრო ლიდერს.

მართალია, ტრამპის ადმინისტრაცია ძალიან შეშფოთებულია ევროპის უსაფრთხოებით და მიგვაჩნია, რომ შეგვიძლია მივაღწიოთ რუსეთსა და უკრაინას შორის არსებული შეიარაღებული კონფლიქტის გონივრულ მოგვარებას, ჩვენ ასევე, მიგვაჩნია, რომ მომდევნო წლებში მნიშვნელოვანია, რომ ევროპამ სერიოზულად გააძლიეროს საკუთარი თავდაცვა.

საფრთხე, რომელიც ყველაზე მეტად მაშფოთებს ევროპასთან დაკავშირებით, არ არის რუსეთი, არ არის ჩინეთი, არ არის რომელიმე გარე მოქმედი. ის, რაც მაშფოთებს, არის შიდა საფრთხე - ევროპის უკანდახევა ზოგიერთი თავისი ყველაზე ფუნდამენტური ღირებულებებისგან, ღირებულებებისგან, რომლებსაც ამერიკაც იზიარებს.

გამაოგნა იმან, რომ ყოფილი ევროკომისარი ცოტა ხნის წინ გამოვიდა ტელევიზიით და კმაყოფილი ჩანდა იმით, რომ რუმინეთის მთავრობამ მთლიანად გააუქმა არჩევნები. ის აფრთხილებდა, რომ თუ საქმე გეგმის მიხედვით არ წავა, იგივე შეიძლება გერმანიაშიც მოხდეს.

წლების განმავლობაში გვეუბნებოდნენ, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაფინანსებთ და მხარს ვუჭერთ, კეთდება ჩვენი საერთო დემოკრატიული ღირებულებების სახელით. ყველაფერი, უკრაინის პოლიტიკიდან დაწყებული, ციფრული ცენზურით დამთავრებული, წარმოდგენილია, როგორც დემოკრატიის დაცვა.

მაგრამ როდესაც ვხედავთ, როგორ აუქმებენ ევროპული სასამართლოები არჩევნებს და მაღალი თანამდებობის პირები ემუქრებიან სხვა არჩევნების გაუქმებით, ჩვენ უნდა დავსვათ შეკითხვა - ვაკმაყოფილებთ თუ არა საკმარისად მაღალ სტანდარტს? და მე ვამბობ 'ჩვენ, რადგან პრინციპულად მჯერა, რომ ერთ გუნდში ვართ.

დაფიქრდით ამ ბრძოლაზე - ქვეყანა, რომელიც აცენზურებდა დისიდენტებს, ხურავდა ეკლესიებს, აუქმებდა არჩევნებს - იყვნენ ისინი კარგი ბიჭები? რა თქმა უნდა, არა. და მადლობა ღმერთს, რომ მათ ცივი ომი წააგეს.

ბრიტანეთსა და მთელ ევროპაში სიტყვის თავისუფლება უკან იხევს. მაგრამ სამართლიანობიდან გამომდინარე ვაღიარებ, რომ ცენზურა მოდიოდა ჩემი საკუთარი ქვეყნიდან, სადაც წინა ადმინისტრაცია ემუქრებოდა და აშინებდა სოციალურ მედიას, აიძულებდა მათ, ცენზურა გაეწიათ ე. წ. დეზინფორმაციისთვის - დეზინფორმაცია, მაგალითად, იდეა იმის შესახებ, რომ კორონავირუსმა, სავარაუდოდ, გაჟონა ჩინეთის ლაბორატორიიდან. ჩვენმა საკუთარმა მთავრობამ წაახალისა კერძო კომპანიები, გაეჩუმებინათ ადამიანები, რომლებმაც გაბედეს ეთქვათ ის, რაც აშკარა სიმართლე აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, ბაიდენის ადმინისტრაცია ცდილობდა გაეჩუმებინა ადამიანები მათი აზრების გამოთქმისთვის, ასევე ტრამპის ადმინისტრაცია გააკეთებს სრულიად საპირისპიროს. და იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ, ერთად ვიმუშაოთ ამაზე.

ახლა ჩვენ მივედით იმ მომენტამდე, რომ ამ დეკემბერში რუმინეთმა პირდაპირ გააუქმა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები დაზვერვის სააგენტოს სუსტი ეჭვებისა და თავისი კონტინენტური მეზობლების მხრიდან უზარმაზარი ზეწოლის საფუძველზე.

კარგი ახალი ის არის, რომ თქვენი დემოკრატიები გაცილებით ნაკლებად მყიფეა, ვიდრე ბევრს, როგორც ჩანს, ეშინია. და მე ნამდვილად მჯერა, რომ ჩვენი მოქალაქეებისთვის საკუთარი აზრის გამოხატვის უფლების მიცემა მათ კიდევ უფრო გააძლიერებს.



რაც, რა თქმა უნდა, გვაბრუნებს მიუნხენთან, სადაც ამ კონფერენციის ორგანიზატორებმა აკრძალეს პოპულისტური პარტიების, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი კანონმდებლების მონაწილეობა ამ დისკუსიებში. მაგრამ ჩვენ არ ვართ ვალდებულნი, დავეთანხმოთ ყველაფერს ან რაიმეს, რასაც ადამიანები ამბობენ, მაგრამ როდესაც ადამიანები, როდესაც პოლიტიკური ლიდერები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ამომრჩეველს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, სულ მცირე, ჩავერთოთ მათთან დიალოგში.

მაგრამ ნება მომეცით, გკითხოთ - როგორ დაიწყებთ საერთოდ, საბიუჯეტო საკითხების განხილვას, თუ ჩვენ არც კი ვიცით, რას ვიცავთ პირველ რიგში?

მაგრამ ის, რაც ჩემთვის ცოტა ნაკლებად ნათელი აღმოჩნდა, და უდავოდ ევროპის ბევრი მოქალაქისთვისაც, არის ის, თუ რისგან იცავთ თქვენ თავს. რა პოზიტიური ხედვა შთააგონებს ამ საერთო უსაფრთხოების ხელშეკრულებას, რომელსაც ჩვენ ყველა ასეთ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ?

და მე ღრმად მწამს, რომ არ შეიძლება იყოს უსაფრთხოება, თუ თქვენ გეშინიათ ხმების, აზრების და სინდისის, რომლებიც თქვენს საკუთარ ხალხს წარმართავს. ევროპა მრავალ გამოწვევას აწყდება, მაგრამ კრიზისი, რომელსაც ეს კონტინენტი ახლა აწყდება, კრიზისი, რომელსაც, მე მიმაჩნია, ჩვენ ყველა ერთად განვიცდით, არის ჩვენი საკუთარი ქმედებების შედეგი.

თქვენ გჭირდებათ დემოკრატიული მანდატები რაიმე ღირებულის მისაღწევად მომდევნო წლებში. განა არ ვისწავლეთ, რომ სუსტი მანდატები არასტაბილურ შედეგებს იწვევს? მაგრამ ბევრი ღირებულის მიღწევა შეიძლება ისეთი დემოკრატიული მანდატით, რომელიც, მე მგონი, გამოჩნდება, თუ უფრო მგრძნობიარენი ვიქნებით თქვენი მოქალაქეების ხმების მიმართ.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით ამერიკაში - დემოკრატიული მანდატის მიღება არ შეიძლება თქვენი ოპონენტების ცენზურით ან მათი დაპატიმრებით, იქნება ეს ოპოზიციის ლიდერი, მოკრძალებული ქრისტიანი, რომელიც ლოცულობს საკუთარ სახლში, თუ ჟურნალისტი, რომელიც ცდილობს სიახლეების გაშუქებას.

თქვენ ვერ გაიმარჯვებთ თქვენი ძირითადი ამომრჩევლების იგნორირებით ისეთ საკითხებში, როგორიცაა - ვის შეუძლია იყოს ჩვენი საერთო საზოგადოების ნაწილი.

დღეს ამ ქვეყანაში მცხოვრები თითქმის ყოველი მეხუთე ადამიანი საზღვარგარეთიდან გადმოვიდა - ეს, რა თქმა უნდა, რეკორდული მაჩვენებელია. სხვათა შორის, ანალოგიური ციფრი შეერთებულ შტატებშიც რეკორდულად მაღალია. იმიგრანტების რაოდენობამ, რომლებიც ევროკავშირში არაევროკავშირის ქვეყნებიდან ბოლო წლებში ჩამოვიდნენ მნიშვნელოვნად იმატა.

არცერთ ამომრჩეველს ამ კონტინენტზე არ მიუცია ხმა იმისთვის, რომ გზა გაეხსნა მილიონობით შეუმოწმებელი იმიგრანტისთვის. მაგრამ იცით, რას მისცეს მათ ხმა ინგლისში? მათ ხმა მისცეს ბრექსიტს. და ეთანხმებით თუ არა ამას, მათ ხმა მისცეს ამას. და სულ უფრო მეტად, მთელ ევროპაში, ისინი ხმას აძლევენ იმ პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც პირობას დებენ, რომ ბოლო მოუღონ უკონტროლო მიგრაციას.




მე ვეთანხმები ბევრ ამ შეშფოთებას, მაგრამ თქვენ არ ხართ ვალდებული, დამეთანხმოთ. მე უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია მათი საცხოვრებელი, მათი ოცნებები, მათი უსაფრთხოება და საკუთარი თავის უზრუნველყოფის შესაძლებლობა. და ისინი ჭკვიანები არიან.

მე ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა, რაც პოლიტიკაში ჩემი ყოფნის მოკლე დროის განმავლობაში ვისწავლე. იმის საწინააღმდეგოდ, რაც შეიძლება მოისმინოთ დავოსის კორიდორებში, ჩვენი ქვეყნების მოქალაქეები, როგორც წესი, არ თვლიან თავს განათლებულ ცხოველებად ან გლობალური ეკონომიკის ურთიერთჩანაცვლებად ხრახნებად. გასაკვირი არ არის, რომ მათ არ სურთ, რომ აქეთ-იქით გადაისროლონ, ან მათი ლიდერები შეუპოვრად უგულებელყოფდნენ მათ.

ეს დემოკრატიის საქმეა - გადაწყვიტოს ეს მნიშვნელოვანი საკითხები საარჩევნო უბნებზე. მე მიმაჩნია, რომ ხალხის, მათი შეშფოთების უგულებელყოფა, ან კიდევ უარესი - მედიის დახურვა, ან ადამიანების გამორიცხვა პოლიტიკური პროცესიდან, არაფერს იცავს. სინამდვილეში, ეს დემოკრატიის განადგურების ყველაზე უტყუარი გზაა.

აზრის გამოთქმა და მოსაზრებების გამოხატვა არ არის არჩევნებში ჩარევა, თუნდაც მაშინ, როცა ადამიანები გამოთქვამენ შეხედულებებს თქვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, და თუნდაც, როცა ეს ადამიანები ძალიან გავლენიანები არიან. დამიჯერეთ, ამას იუმორით ვამბობ - თუ ამერიკულ დემოკრატიას შეუძლია გადაიტანოს გრეტა ტუნბერგის მხრიდან წლების განმავლობაში კრიტიკა, თქვენ, ბიჭებო, შეძლებთ, რამდენიმე თვე გადაიტანოთ ილონ მასკთან ერთად.

დემოკრატია ეფუძნება წმინდა პრინციპს, რომ ხალხის ხმას აქვს მნიშვნელობა. არ არის ადგილი შუალედური გზისთვის - ან თქვენ უჭერთ მხარს ამ პრინციპს, ან არა. ევროპელებს აქვთ ხმა, ევროპელ ლიდერებს აქვთ არჩევანი, და მე მტკიცედ მწამს, რომ ჩვენ არ გვჭირდება მომავლის შიში.

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ის, რასაც თქვენი ხალხი გეუბნებათ, თუნდაც ეს მოულოდნელი იყოს, თუნდაც არ ეთანხმებოდეთ. თუ ასე მოიქცევით, შეძლებთ მომავალს შეხვდეთ თავდაჯერებით, თუ გეცოდინებათ, რომ ერი დგას თითოეული თქვენგანის უკან.

და ეს, ჩემი აზრით, არის დემოკრატიის დიდი მაგია - ის არ არის ამ ქვის შენობებში ან ლამაზ სასტუმროებში. ის არც იმ დიდ ინსტიტუტებშია, რომლებიც ჩვენ ერთად ავაშენეთ, როგორც ერთიანმა საზოგადოებამ.

დემოკრატიის რწმენა ნიშნავს იმის გაგებას, რომ ჩვენს თითოეულ მოქალაქეს აქვს სიბრძნე და ხმა. და თუ ჩვენ უარს ვამბობთ ამ ხმის მოსმენაზე, მაშინ ყველაზე წარმატებული ბრძოლებიც კი ძალიან ცოტას მოგვცემს.

როგორც თქვა პაპმა იოანე-პავლე მეორემ, ჩემი აზრით, ამ კონტინენტზე და ნებისმიერ სხვა კონტინენტზე დემოკრატიის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა დამცველმა - „ნუ გეშინიათ!“ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ჩვენი ხალხის, მაშინაც კი, როცა ისინი გამოხატავენ შეხედულებებს, რომლებიც არ ემთხვევა ხელმძღვანელობის მოსაზრებებს.

მადლობა ყველას, წარმატებებს გისურვებთ, ღმერთმა დაგლოცოთ.




# სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს...

რომელი პროფესია იყო პირველადო, ბჭობდნენ ინჟინერი, ექიმი და ჟურნალისტი.

— რა თქმა უნდა ინჟინერი! მიწა, წყალი, მთა, ვაკე, — ეს ხომ ინჟინერმა დაალაგა, — თავდაჯერებულად წარმოთქვა ინჟინერმა.

— როგორ გეკადრებათ! ადამის ნეკნიდან შექმნა ღმერთმა ევა. მედიცინა იყო პირველი პროფესია, — აღშფოთდა ექიმი.

— მანამდე რა იყო? — იკითხა ჟურნალისტმა მოწკურული თვალებით.

— ქაოსი! — ერთხმად უპასუხეს ექიმმა და ინჟინერმა.

— მერე, ის ქაოსი ვინ შექმნა? — ჩაიცინა ჟურნალისტმა.

ზოგი ჟურნალისტი ნამდვილად ქმნის ქაოსსო, — გაიფიქრა სალომე ზურაბიშვილმა, მაგრამ ხმამაღლა რანაირად უნდა დაელაგებინა ნააზრევი, თავი ვეღარ მოაბა და გულშიღა ჩაიკლა შვეიცარიული და ესპანური მედიისადმი დაგროვილი ბოღმა, რომლებმაც ექსპრეზიდენტად მოიხსენიეს. იმათ რა იციან, რომ ლეგიტიმაცია შავი „რედიკულით“ დააქვს სალომეს.

ჰოდა, გეყოფათ ქაოსის შექმნაო და ტრამპის საგანგებო დავალებათა დესპანი რიჩარდ გრენელი „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტს მკაცრად ჩაეკითხა, რატომ მუშაობთ პრეზიდენტ ტრამპის გეგმების წინააღმდეგ, რა უფლებით, აგირჩიათ ვინმემო? აწი, ჩემ ფეხებს იმუშავებთ აშშ-ის ოფიციალური მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგო. მე მეგონა, „ამერიკის ხმის“ და „რადიო თავისუფლების“ ქართული ოფისები ურევდნენ მხოლოდ და იმიტომ მღეროდნენ ე. წ. რადიკალური ოპოზიციის დაკრულზე, თურმე, საერთო სენი შეჰყრიათ და ჩასვამენ კიდეც გუდიანი კაცის „მეშოკში“, როგორც წარსულის გადმონაშთებს.

აშშ-ის თავდაცვის მდივნის, პიტ ჰეგსეტის გადაწყვეტილებით, პენტაგონში სამუშაო სივრცეები უნდა დატოვონ ნეოლიბერალების მედიასაშუალებებმა: **The Washington Post, CNN, The New York Times, Politico, National Public Radio, The Hill, NBC News, The War Zone**. მათ ჩაანაცვლებენ მემარჯვენე სარედაქციო პოლიტიკის მქონე მედიაორგანიზაციები: **Washington Examiner, Newsmax, Breitbart, New York Post, HuffPost, One America News Network, The Free Press, The Daily Caller. Fox News**-ის მუდმივი აკრედიტაცია უცვლელია.

ეს კი არა, **Associated Press**-ის ჟურნალისტი თეთრ სახლში არ დაუშვეს ერთ-ერთ ღონისძიებაზე იმის გამო, რომ ვირიდან ვერ ჩამოსვეს, „მექსიკის ყურეს“ მე ვერ ვუწოდებ „ამერიკის ყურესო“. ვერ უწოდებ და იყავი ეგრეო...

თხა თხაზე ნაკლებიო, — მმართველი გუნდის გადაწყვეტილებით მომზადდება მედიის შესახებ კანონი და ატყდა ყიჟინი, ჟურნალისტის მართალ სიტყვას ზღუდავენ, ეს უკვე ჩელიაბინსკსაც სცდებაო.

აწივლებულებს „ოცნებამ“ მიუალერსა: ჩელიაბინსკი კი არა, მედიის ობიექტურობისა და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები დადგინდება და, ვისაც რაიმე პრეტენზია გექნებათ, ბრიტანეთის საელჩოსთან გააპროტესტეთო.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩო ისევ ორთაჭალის სანახებშია? კაცმა რომ თქვას, ისლანდიის საკონსულოში უფრო მქონდა საქმე, მაინტერესებდა, რა აზრის არიან დონალდ ტრამპის ტერიტორიული განვრცობის მადაზე, მაგრამ რომ დავფიქრდი, მიხოსი არ იყოს, ერთი მაგათი ჭკუაც ვატირე-მეთქი და გადავიფიქრე, საქმის მეტი რა მაქვს!

აგე, რამდენი რამე ხდება! ყველა ქვეყანაში, სადაც მზადდებოდა რევოლუცია-გადატრიალებები, მასკი გადასცემს დეტალურ ინფორმაციას, სად და რაში იხარჯებოდა თითოეული ცენტი. დაწვრილებით იქნება ინფორმაცია მოცემული ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში ჩართულ ყველა მსახიობზე, მედიაზე, სპორტსმენებზე, ლექტორებზე და გადარიცხვების რაოდენობა-ინტენსივობა პირდაპირ, თუ ამ ქვეყნებში მოქმედი ასო-ების გავლითო;

აშშ-მა ოფიციალურად განაცხადა, რომ ევროპა აღარ წარმოადგენს მისთვის პრიორიტეტს საგარეო და თავდაცვით სფეროებში, — მოკლედ, ვამთავრებ ე. წ. ერთიან დასავლეთობას ლიბერალური გლობალიზმის გავრცელებისთვისო;

გამოხტა ურსულა დეიდა და, ევროკავშირი მზად არის მკაცრი, მაგრამ კონსტრუქციული დიალოგისთვის აშშ-სთანო. მასეთი მკაცრიც ნუ იქნებით, ქალბატონოო, — გაიფიქრა მიუნხენში ჩასულმა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ვენსიმ და გერმანიის კანცლერ შოლცთან შეხვედრაზე უარი თქვა, ეგ ცოტა ხანში კანცლერი აღარ იქნება (23 თებერვალი), მე კიდე, არ მცალია სალაყბოდ, საქმეები მაქვსო და მათ ჩაეხუტა, ვინც ყურადღების ღირსად ჩათვალა. შეურაცხყოფილ და თოვლივით გაფითრებულ შოლცს რამდენი წურბელა დაასვეს კისერზე, უცნობია.

ბიჭო, შამპანურის ბოთლი ვერ გატეხა გერმანიის ვიცე-კანცლერმა რობერტ ჰაბეკმა ახალაშენებულ გემზე, რაც საყოველთაოდ მიღებული ტრადიციაა და ამათი იმედი ვის უნდა ჰქონდეს. გების კიჩოს რა ურახუნააა, მე ამომვარდა ბეჭი, მაგრამ ვერ გატეხა. მერე რა უქნეს, ხმელეთზე ქვაზე დაათხლიშეს, თუ გემზე ქვა დაათხლიშეს, მაგდენი აღარ ვიცი.

ბაიდენის შემდეგ, ტრამპმა საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვება აუკრძალა ენტონი ბლინკენს, ჯეიკ სალივანს და მის მოწინააღმდეგე გავლენიან პროკურორებს, — ავადა ხართ თქვენაო...

მსოფლიოში გაბნეული აშშ--ის ეს ამდენი საკონსულო, დიპლომატიური წარმომადგენლობა, ორგანიზაციები, ინსტიტუტები და მსგავსი წურბელები რაღა ჯანდაბად მინდა, რას აკეთებენ ფულის შთანთქმის გარდაო? მასკი ამბობს, მთელი სააგენტოები თუ არ გავაუქმეთ, იგივეა, სარეველა რომ ბოლომდე არ ამოძირკვოოო...

აი, ამ ფონზე, დროში ჩარჩენილი „ბრიუსელი“ მოქალაქე სალომე ზურაბიშვილის სიდიადეს ეთაყვანება, მათი გამოთაყვანებული „შპანა“ კი რუსთაველის პროსპექტზე დოლების რახუნსა და ჭყავილშია ჩაკარგული, დაინიშნოს ხელახალი არჩევნებიო. საქართველოს, უკვე მეორე თვეა, რაც პრეზიდენტი ჰყავს და ევროპის გრანტმაფიას თავისი საქართველოს პრეზიდენტი ჰყავს, — ჭეშმარიტება უთქვამს ტრამპს, ავადმყოფები ყოფილან მართლა...

გასული წლის 28 ნოემბერს გარკვევით უთხრა საქართველოს ხელისუფლებამ ამ ყველა ასტრალში გასულს, ილაყლაყეთ, რაც გინდათ და რეზოლუციები წერეთ დაღლამდე, ეგ ჩვენ აღარ გვაინტერესებს და ქართული რადგან არ გესმით, ჩელიაბინსკურად ასეა, „ჩერეზ ჩეტირე გოდა, პამაგუო“ — არ ესმით!

„ტვ-პირველმა“ გაგვაფრთხილა, ანალიტიკოსების შეფასებით, სალომე ზურაბიშვილი მძიმეწონიანი ფიგურა გახდა და ამ ფაქტს წყობიდან გამოჰყავს „ქართული ოცნებაო“, მაგრამ დავუჯეროთ? ჰოდა, ვიდარდოთ ახლა, ჩავიცვათ ფლასები და სადმე მოვიბათ შავი „ბანტებიც“... ერთი რამ მაინც ვერ გავიგე, თუ პრეზიდენტად სალომე ჰყავთ, მიხეილ ყაველაშვილს რა პონტშიღა სთხოვენ მავანთა შეწყალებას?

ეს კი არადა, ხმა გავარდა, „პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა“ რაღაც ფონდი უნდა დააარსოსო. საგონებელში გადავვარდი, 2025 წლის 20 იანვარს ფონდი გააუქმა და რეესტრმა მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა, 12 თებერვალს რა მოელანდა, რომ ისევ ფონდი დააარსა, ამან ბოლომდე ხომ არ გარეკა-მეთქი?

თურმე, საზოგადოებაში ყოფილა დიდი მოთხოვნა, რომ დაარსდეს ფონდი, რომელიც დაეხმარება დასჯილ „ძაან ევროპელებს“ და მათ ოჯახებს, როგორც პატიმრებს, ისე — დაჯარიმებულებს და საჯარო სექტორში მომუშავე დასჯილებს. კარგი საქმეა დახმარება, ამათ გამო ისჯებიან და მატერიალურად მაინც აუნაზღაურონ-მეთქი, გავიფიქრე და ახალი ფონდით დავინტერესდი, — ეცა ვინა კოფილანო, ეც პატიცემული ჰუმანური ნაც-ბიზესმენებიო? — გიორგი ისაკაძის მეუღლე, ამირან გამყრელიძის შვილი, თამარ ჩუგოშვილის ძმა. კიდევ ვინ არიან, დროებით არის უცნობი, თუ უცნობად დარჩება, ვერ გეტყვით, მაგრამ ბიზნესმენი ფულს იმაში არ დებს, საიდანაც მოგება არ იქნება...

იქით პოლონელი ევროპარლამენტარი დომინიკ ტარჩინსკია გაურკვევლობაში ჩავარდნილი, ევროკავშირი, უბრალოდ, შეიშალაო. ესეც რა კარგი ტიპია, უბრალოდ, როგორ შეიშლებოდა, — იქ ზის თვითონაც და ვერ გაუგია, რამ შეშალა?

იმის იქით ანჟეი დუდა აზუზუნდა გაჭედილი ზურნასავით, პოლონეთში, შესაძლოა, რუმინეთის სცენარი გათამაშდეს. ერთი შეკითხვა მაქვს: არჩევნებში მხოლოდ იმან უნდა გაიმარჯვოს, ვინც ბრიუსელს მოსწონს?! დემოკრატია საფრთხეშიაო. კაი, კაცო! ამას ახლა გაეღვიძა და ისიც საკუთარ თავზე, თორემ, რა გაალღვიძებდა...

მაკრონმა თქვა, ტრამპის „ელექტროშოკზე“ ევროპამ რეაგირება უნდა მოახდინოსო, მაგრამ ვერც ეს ამბობს „ის რეაგირება“ რა არის, ვერც ურსულა დეიდა და ვერც ვერავინ, ისიც არ იციან, ვისგან გადაიწერონ რეაგირების გამოხატვის სიტყვები, იმავე ტრამპისგან, ვინც შოკში ჩააგდო ყველა ერთად?

თვით აშშ-ში ნელ-ნელა შოკიდან გამოდიან. 14 შტატის წარმომადგენელმა და „იუესაიდის“ 26-მა თანამშრომელმა უკვე შეიტანა სარჩელი ტრამპისა და მასკის წინააღმდეგ. ჩვენი „შიგ ევროპელები“ წაიყვანონ ინსტრუქტორებად, არ უნდათ? ისე კი, ვაშინგტონში „რუსთაველის პროსპექტი“ რომ წამოიწყონ „ხლაპუშკებით“, კარგი იქნება, ბოლო-ბოლო, ყველა ერთად ვნახავთ, როგორ იქცევა დემოკრატიული პოლიცია...

ეს იქით იყოს და, გულიანად გამეცინა ტრამპისა და მასკის შეცხა-



დებაზე, 150 წლის პენსიონერები გვყავს აშშ-ში, პენსიას იღებენ ეს მკვდარი ხალხიო, — ზოგმა გარდაცვლილმა რომელიღაც არჩევნებშიც გაიმარჯვა და პენსიას თუ „იღებს“, რა უჭირს...

ბატონმა პაპუაშვილმა თქვა, „ნჯოშნიკები“ ააჯანყეს იმიტომ, რომ დაეფარათ ის, რაც ახლა ტრამპის ადმინისტრაციამ ამხილაო. ვიცით ჩვენც, მაგრამ კიდევ რამდენი ხანი უნდა იწანწალონ წუღრუღაშენის მშიერი ტურებივით რუსთაველზე და ტვინი ჭამონ, გვცემენო? — დავიღალეთ!

ჰო, ჯგუფურად უყვართ ამათ ყველაფერი და ჯგუფურად გამოთაყვანდნენ, „სისტემა უნდა გადავწვათ!“ — უთქვამს „პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს“, შამუგიას და ევროპისკენ მიმავალი უწიგნური მწიგნობრებიც გაჰყვირიან მათთვის ადვილად დასახსომებელ ფრაზას: „ცეცხლი ოლიგარქიას!“ — ცეცხლი და ზუკუტი ამათ, ამოვიდნენ ყელში!

„რა გიხარიათ ხალხო, ჩრდილოეთ კორეა ვხდებით, ზურგი გვაქცია მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ!“ — ბორგავენ „შინ ევროპაში მიმავლები“, მაგრამ ვერ ჩავხვდი, რას გულისხმობენ, მომავალს სჭვრეტენ, თუ სადმე რამე აწუხებთ, ძლიერ მახვილი...

არ შეგაშინოთ, ხალხო, ჯარიმებმა, პირიქით, უნდა ვესწრაფოთო. ვიფიქრე, მოდი, მეც მივესწრაფო-მეთქი და გავიგე, რომ თურმე, ფონდები იხდიან ჯარიმებს, ხოლო ფონდებს ავსებენ ბიზნესმენები და ემიგრანტები. ადვოკატების ჯა-

7 გვ.

როგორ წარმოუდგენია ქართველ აქტივისტს:



# მიტინგს თავისი მომაჯადოებელი ხიბლი აქვს, გონებას თიშავს...



***გვესაუბრება ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე:***

**— ბატონო რამაზ, რუსთაველის გამზირზე ქუჩის პროტესტი გრძელდება. როგორც ფსიქოლოგი, როგორ აღწერთ ახალგაზრდების პორტრეტს?**

— აქ ფსიქოლოგიაც და პოლიტიკაც, ორივე თავის როლს თამაშობს. ამას წინათ მე და ჩემი მეგობარი ვიხსენებდით, რომ საქართველოში მიტინგების ბუმს მოვესწარით. საპროტესტო ტალღა ეროვნული მოძრაობით დაიწყო, ცალკე — გამსახურდიას მომხრეების, ცალკე — მისი მოწინააღმდეგეების, ირაკლი წერეთლის, გია ჭანტურიას და სხვათა მიტინგები იმართებოდა. მე და ჩემი მეგობარი თემური ყველა მიტინგს ვესწრებოდით. ამ მოვლენას — სოციალურ ვულკანს, რომელმაც უცებ ამოფეთქა, თვალს ვერ ვაშორებდით, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ რა პოზიციაზე იყო. მთავარი იყო, მიტინგის ჰაერით გვესუნთქა. 24 საათი გარეთ ვიყავით, სხვადასხვა უბანში სხვადასხვა ჯგუფების მიერ მოწყობილი ერთი მიტინგიდან მეორეზე ვინაცვლებდით. შედეგად, ყველაფრის საქმის კურსში ვიყავით. „კინოს სახლშიც“, შეიძლება ითქვას, მიტინგები იმართებოდა, ოღონდ ჭერქვეშ. ასეთი წარსულის ფონზე, კარგად მესმის ამ ახალგაზრდების, რომელთაც უცებ, ახალი რეალობა იპოვეს. ნებისმიერი ახალგაზრდა, რომელიც პოლიტიკურ მიტინგში მონაწილეობს, შეიძლება გადამწყვეტი ფიგურა არ არის, მაგრამ გარკვეულ როლს საქართველოს ბედ-იღბალის შეცვლაში მაინც ასრულებს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს იმაშიც ჩანს, როგორ დადიან ახალგაზრდები საქართველოს დროშებშემოხვეული. მათთვის საქართველოს დროშა, ამ სახით, ახლობელი გახდა. სიმართლე გითხრათ, ასეთი ახალგაზრდული სიყვარული ქვეყნისა და თავისუფლების მიმართ, ძალიან მომხიბვლელია. ფსიქოლოგიურად ეს გასაგებია. რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, სულ სხვა საკითხია.

მრავალი წელი გავიდა, რაც მიტინგიდან მიტინგზე გავატარე და დავფიქრდი: რა ხდებოდა იმ დროს, რა განაპირობებდა მიტინგების მოზღვავებულ ბუმს?! ეს შეკითხვები იმ მომენტში არ გიჩნდება. ახლა ამიტომაც არ მიყვარს აქციებში მონაწილეობა, იქ ფიქრის საშუალება არ არის. მიტინგს თავისი ჯადო, ხიბლი აქვს, ფიქრს თიშავს. ფიქრს მოგვიანებით იწყებ. ასე დავიწყე ფიქრი: რატომ დაიშალა საბჭოთა კავშირი? მაშინ გავრცელებული ვერსიით, საბჭოთა კავშირის დაშლა, ეროვნულმა მოძრაობამაც განაპირობა. დღევანდელი გადასახედიდან უკვე ვიცი, რომ საბჭოთა კავშირი თავად რუსეთმა დაშალა, რადგან მისთვის ეკონომიურად, ამხელა სისტემის კვება წამგებიანი იყო. ნებისმიერს შევეკამათები, რომ საბჭოთა კავშირი თვითონ რუსეთმა დაშალა, რადგან თვითონ, როგორც რუსეთი, გადარჩენილიყო. რა გამოდის? — რუსეთმა ეროვნული მოძრაობების ეს წნეხი დაუშვა, რაც მთელი სამოცდაათი წელი შეკავებული იყო. ანუ, ჩვენ იმ ძალიან გულწრფელ ეროვნულ მოძრაობაში, რეალურად, სხვის სპექტაკლში, თან „მასოვკის“ როლში ვმონაწილეობდით. დიახ, სხვაგან დაწერილი სპექტაკლის მონაწილეები ვიყავით, თან „მასოვკის“ როლში. ახლა, გარკვეულწილად, ჩემს ბიოგრაფიას ვყვები. ამ დასკვნების მერე, სიფრთხილეს ვიჩენ: კი ბატონო, ისტორია ასეთი ხერხებით იმართება, მაგრამ ადამიანს გინდა იცოდე, ვის თამაშს თამაშობ და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა.

აი, სწორედ ეს პრობლემაა ამ ახალგაზრდებში, — მათ არ იციან, ვის თამაშს თამაშობენ. ძალიან გულწრფელი, რეალური დამოკიდებულებების ფონზე, მათ ისიც არ იციან, რასაც თამაშობენ, ეს რას ნიშნავს. კერძოდ, ოპოზიციამ, უცხოელებმა მათ უთხრეს: ხელახალი არჩევნები მოითხოვონ. ეს ცრუ მოთხოვნაა. ხელახალი არჩევნები რომ ჩატარდეს, შედეგი იგივე იქნება, რადგან თორმეტი წლის განმავლობაში ოპოზიცია არჩევნებს ერთი მარტივი მიზეზის გამო აგებს: ის ყოველთვის ნაცების, ანუ მიშას გარშემოა შეკრებილი. იმ ხალხის გარშემო, ვინც 9-წლიანი რეჟიმი შექმნა. საქართველოს მოსახლეობას კი ამ ხალხის ხელისუფლებაში დაბრუნება არ უნდა. ამ მარტივი მიზეზის გამო, ოპოზიციას ხმას არ აძლევენ. „ნაცმოძრაობის“ ფაქტორი არსად გამქრალა. ანუ განმეორებითი არჩევნების შემთხვევაში, ისევ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. ხელისუფლებამ უკვე მოიგო ეს არჩევნები და მილიონ 120 ათას ამომრჩეველთან ხელახალი არჩევნების ჩატარებით პირი რატომ უნდა შეირცხვინოს?! ხელახალ არჩევნებს სერიოზული მიზეზი სჭირდება, რაც ამ ეტაპზე არ არსებობს. ამ ფონზე, იცის რა ოპოზიციამ, რომ ხელახალი არჩევნები არ ჩატარდება, ამ მოთხოვნით ახალგაზრდებს აყვირებენ. ეს ხომ ნიშნავს, რომ რუსთაველის გამზირზე პროტესტი მუდმივად იქნება. ამოცანაც სწორედ ეს არის.



**— მიტინგით მოჯადოებული ახალგაზრდების გარდა, აქციაზე დაფინანსებული აქტივისტებიც არიან. „იუესაიდის“ დაფინანსება ახლა შეწყვეტილია და ალბათ, აქციებიც მილევად რეჟიმში გადავა, მაგრამ დროშებშემოხვეულ გულწრფელ ახალგაზრდებს რა ბედი ელით, მათ ვინ დაეხმარება?**

— არ ვიცი, რას გადაწყვეტს მათი მიმართულებით ხელისუფლება, ამ სამზარეულოსთან კავშირი არ მაქვს. მაგრამ საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, ამ ახალგაზრდებს, რომლებიც კრიტიკული ბრძოლის ჟინით არიან შეპყრობილნი, პირობები შეექმნათ, რათა პოლიტიკური კომპეტენცია დააგროვონ. მათ ბევრი რამ არ იციან და ასე მარტივად მათ კისერზე ქვეყანას ვერ ჩამოკიდებ, უღელს ვერ დაადგამ. მაგრამ სათანადო კომპეტენცია თუ დაუგროვდებათ, ეს საშუალებას მისცემს, პოლიტიკაში შევიდნენ. ამის პირობები თუ შეექმნებათ და ახალგაზრდული პარტიები ჩამოყალიბდება, ისინი მერე ძალაუფლებისთვის იბრძოლებენ. ამ თაობაზე დაყრდნობით, პოლიტიკური ცხოვრება სწორად გაგრძელდება. ხოლო ის თაობა, რომელსაც დღეს პასპორტში უწერია, გინდა თუ არა, ოპოზიციონერები ვართო, ნელ-ნელა პოლიტი-



კიდან უნდა გავიდეს. დასაწყისში ეროვნული მოძრაობა გავიხსენე. ჩემი დროის ლიდერებიდან, ერთ-ერთი ირაკლი წერეთელი გახლდათ. მას იმ მასშტაბის მიტინგის მართვა შეეძლო, რაც ახლანდელ ახალგაზრდებს არც კი დაესიზმრებათ. **წერეთელი პოლიტიკიდან გავიდა. მან ეს ასე ახსნა: მე დამოუკიდებელი საქართველო მინდოდა და ამისთვის ვიბრძოდი, საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო და პოლიტიკაში რაღა მინდაო.**

პოლიტიკაში ყოფნა ადამიანის არსებობის ერთადერთი ფორმა არ არის, — ვინც აქამდე შედეგები ვერ მოიპოვა, მათი გასვლის დრო დადგება. პოლიტიკაში ნუ იქნებიო, ვერავის ეტყვი, მაგრამ საკმარისია ახალი, პერსპექტიული ალტერნატივა გაჩნდეს, ამომრჩეველი ძველებს ყურადღებას აღარ მიაქცევს და ამით თაობათა ცვლა დამთავრდება. აი, ასეთი ახალი, პერსპექტიული ალტერნატივის გაჩენა ყველაზე სწორი და ღირსეული ნაბიჯი იქნებოდა. იმიტომ, რომ ამ ახალგაზრდებს ახლა ექნებათ იმედგაცრუება, რომ სამშობლოსთვის გამოსადეგარი რამ არ, ან ვერ გააკეთეს. ამ ფიქრს დადებითი მუხტი რომ მიეცეს, ამისთვის უნდა მოხდეს ხელშეწყობა, რომ მათგან პოლიტიკური ჯგუფი ჩამოყალიბდეს, რაც სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს, დანარჩენი მათზეა დამოკიდებული, როგორ იმუშავებენ.

**— ამ ახალგაზრდებს ბიძგი ვინ უნდა მისცეს, ლექტორებმა რომლებიც იქეთ არიან აღსაზრდელები?**

— ლექტორებს არ ვგულისხმობ. ყველა ქვეყანაში, საქართველოშიც აკადემიური წრეები ადვილად მიჰყვებიან-ხოლმე ამა თუ იმ სოციალურ-პოლიტიკურ ტალღებს, მოდას. საზღვარგარეთ მთელი უცხოური საგანმანათლებლო სისტემა, თავის სტუდენტებიან-ლექტორებიანად მემარცხენე ლიბერალური პოლიტიკის მომხრეა. ჩვენთანაც ანალოგიური მდგომარეობაა, უბრალოდ, აქ ლიბერალებს „ნაციონალები“ ჰქვიათ. ჩვენთან ხომ ყველაფერი უკუღმა უნდა მოხდეს. „ნაციონალი“, წესით, უნდა ერქვას რესპუბლიკური სულისკვეთების მქონე პოლიტიკოსს, მაგრამ ჩვენთან ეს სახელი დემოკრატიული სულისკვეთების ლიბერასტ პოლიტიკოსებს ჰქვიათ. ეს სულისკვეთება უმაღლეს სასწავლებლებში აქაც ძალიან გავრცელებულია. ამიტომ ლექტორების იმედი არ უნდა გვქონდეს. თუ სახელმწიფო მოახერხებს, რომ ახალგაზრდა პოლიტიკოსთა დახმარების ფონდი შექმნას, კარგი იქნება.

**— პრემიერმა ახალგაზრდებს შესთავაზა, დავსხდეთ და ვისაუბროთო, თუმცა ისინი დისკუსიაში არ შედიან, აცხადებენ, ყველაფერი რუსულია და მორჩაო. ასეთ ახალგაზრდობას როგორ უნდა მიუდგე?**

— დიახ, მათ საუბარი არ სჭირდებათ, არამედ ის უნდა გაკეთდეს, რაც სურთ. ასეთი მიდგომა აქვთ. ადამიანურად მათი პოზიცია სრულიად გასაგებია, თუმცა, რთული მდგომარეობაა. თუ გვინდა ამ ადამიანებისგან პოლიტკოსები ჩამოყალიბდნენ, ისე უნდა ვიმოქმედოთ, რაზეც ზემოთ ვისაუბრე.

**თამარ შველიძე**

# ტრამპმა და პუტინმა ევროპა „გადააგდეს“



*გვესაუბრება პოლიტიკოსი პეტრე მამრაძე:*

**— ბატონო პეტრე, ტრამპსა და პუტინს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. როგორ ფიქრობთ, რუსეთსა და უკრაინას შორის სამშვიდობო შეთანხმება გაფორმდება?**

— რაც შეეხება ტრამპისა და პუტინის სატელეფონო საუბარს, ბევრი დასავლელი ექსპერტი ცდილობს გააანალიზოს, რა იქნება მომავალში. ეს რთული სათქმელია, მკვეთრი კონტურები ჯერ არ ჩანს. იმდენად ტურბულენტური ვითარებაა, ზუსტი პროგნოზის გაკეთება გაჭირდება. მაგრამ მინდა გითხრათ ის, რაც ნაკლებად ჟღერდება: ტრამპის მთავარი მოტივაცია არის ის, რომ ომის დროულად დასრულებასთან დაკავშირებით, წელსვე მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიიღოს. მისთვის მაგალითია თეოდორ რუზველტი — ამერიკის პრეზიდენტი, რომელმაც რუსეთ-იაპონიის ომის შემდგომ, სადაც რუსეთი კატასტროფულად დამარცხდა, შეძლო ორივე მხარე კომპრომისებზე წაეყვანა და ზავი დაედოთ. ამისთვის თეოდორ რუზველტმა მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიიღო. ტრამპის მეორე მოტივაცია კი რაც შეიძლება მეტი ფულის შოვნაა. მოგეხსენებათ, რომ მისი უსაფრთხოება მიღწეულია, უკვე პრეზიდენტია და ციხე აღარ ემუქრება. ნობელის პრემიის მისაღებად აუცილებელია თუნდაც ის, რომ მან ცეცხლის შეწყვეტას მიაღწიოს. ამ მხრივ, ტრამპი მზად არის, საკმაოდ სერიოზულ კომპრომისებზე წავიდეს.

ამ ვითარებაში, პირველ რიგში, თვალსაჩინოა ის, რომ არც ტრამპი და არც პუტინი, ევროპის ქვეყნებს ყურადღებას არ აქცევენ. ამ მხრივ ტრამპის მიდგომას ბისმარკისეულს უწოდებენ. ოტო ტრამპივით იმპულსური არ იყო, მაგრამ მნიშვნელობას რეალურ ძალას ანიჭებდა და არა რაღაც გაცხადებულ პოზიციებს და კომენტარებს. ანუ ტრამპის მიდგომა ასეთია: თუ საკმარისად ძლიერი ხარ, შენც იყავი მოქმედი პირი, როგორც სახელმწიფოს ლიდერი, მიიღე ყველაფერში მონაწილეობა, მაგრამ თუ ეს ძალა არ გაქვს, პოლიტკორექტულობას არ გამოვიჩენ და არც იმას გავითვალისწინებ, რასაც შენ ლაპარაკობ, კარგი იქნება ეს თუ ცუდი, არ მაინტერესებსო. ეს დასავლურ პოლიტიკაში სრულიად ახალი რამ არის. ტრამპს ცნობილი მეცნიერები ურჩევენ, რომ უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით გარიგება აშშ-სა და რუსეთს შორის მოხდეს და უკრაინას უკვე მიღწეული შედეგი აცნობონ. იმიტომ, რომ ზელენსკი და მისი ჯგუფი მოლაპარაკებებში თავიდან რომ ჩართონ, ეს არასდროს დასრულდება, ასე შეთანხმება არ მიიღწევა. აშშ-ს ნამდვილად აქვს იმის რესურსი, რომ პუტინთან მოილაპარაკოს და მერე ზელენსკის, როგორც უკვე მომხდარი ფაქტი, შედეგი გააცნოს. იმიტომ, რომ ევროპასთან შედარებით, უკრაინისთვის აშშ-ის დახმარება ფინანსური, თუ სამხედრო ძალით, გაცილებით დიდია. ევროპას პოტენციალიც კი არ აქვს, რომ ამ მხრივ უკრაინას დაეხმაროს. მეტიც, რასაც აქამდე მთელი დასავლეთი უკრაინას ეხმარებოდა, ძლივსღა ყოფნიდა იმისთვის, რომ ბრძოლები იმ რეჟიმში წარმართულიყო, რასაც ვხედავთ. მაშინ, როცა, რუსეთი ძალიან ნელა, მაგრამ მაინც მიიწევს წინ.



მოგეხსენებათ, რა ვითარებაა დღეს უკრაინაში. საფრანგეთში სპეციალური ბრიგადა 2 500 ადამიანი მოამზადეს. მზადების დასასრულს კი 1 700 მებრძოლი გაიქცა, უკრაინაში არ დაბრუნდა. მათ არ უნდათ ომი, ბრძოლა, რადგან ხედავენ, საკუთარი პოლიტიკური ელიტა — ერმაკი და მის ზურგს ამოფარებული ზელენსკი, კორუმპირებულები არიან. მათი გარემოცვაც ომიდან დიდ ფულს შოულობს. ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წევრმა როგორც განაცხადა, აქ ისეთი ქურდობა მიდის, თითქოს, ხვალინდელი დღე არც კი დადგება. აი, ასე ექცევიან უცხოურ დახმარებასო. ეს ის შემთხვევა არ არის, როცა უკრაინის სათავეში გულანთებული, თავგანწირული პატრიოტები არიან. აი, ასეთი ვითარებაა. როგორც აღინიშნა, რუსეთი უარს არ იტყვის ტერიტორიებზე, რომელთა ოკუპაციაც მოახდინა. ანუ ტრამპი ვერ წაუყენებს პირობას: ომი შეწყვიტე და თან ეს ტერიტორიები დატოვეო. მას შესანიშნავად ესმის, რომ ცეცხლის შეწყვეტა მსგავსი მოთხოვნის პირობებში, არ მოხდება. ასეთ შემთხვევაში, პუტინის რუსეთი იბრძოლებს, ჩინეთიც მას შესაბამის დახმარებას გაუწევს. ვიმეორებ, მნიშვნელოვანია, რომ ომის დამთავრების მოტივაცია ტრამპისთვის პირადულია, — ნობელის პრემია და, რაც შეიძლება, მეტი ფული. ეს იმითაც გამოჩნდა, რომ ტრამპი მინერალურ რესურსებზე ალაპარაკდა, რომლის დიდი ნაწილი პუტინს აქვს ხელში ჩაგდებული, რადგან მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. სახელდება 500 მილიარდი, თუმცა რესურსი გაცილებით დიდია. თუნდაც, ლითიუმი, რომლის ფასი ოქროს ფასს უტოლდება.

**— „დემოკრატიის აკვანმა“ ნიღაბი ჩამოიხსნა?**

— ანგლოსაქსებს ასეთი გამოთქმა აქვთ: რეალობა ისე მიიღე, როგორიც არის. ცნობილია, რომ პუტინის რუსეთი ერთი წლის განმავლობაში სამ მილიონ საარტილერიო ჭურვს დაამზადებს. ამიტომ ევროპამ თქვა, რომ იღებს ვალდებულებას, მისი მხრიდან, სამი მილიონი ჭურვი უკრაინაში გაიგზავნოს, თუმცა, ამის შესრულება ვერ შეძლეს. მერე ბულგარეთში ძველი საბჭოური ჭურვები იპოვეს. რაშია საქმე? როგორ მოხდა, რომ მსოფლიოს ყველაზე მდიდარმა ქვეყნებმა დიდი ბიუჯეტებით, სამი მილიონი ჭურვის დროულად გაკეთება ვერ შეძლეს? პასუხი მარტივია. ევროპაში დღეს არსებული ვითარების გასაღები სწორედ აქ დევს. მათ მოსახლეობის მხრიდან ქვეყნების შიგნით არ ჰქონდათ პოლიტიკური მხარდაჭერა, რათა ბიუჯეტი უკრაინის დასახმარებლად მიემართათ. ამისთვის პოლიტიკური ნებაც კი არ იყო საკმარისი, დასავლეთის მოსახლეობაში ისეთი განწყობებია. უკრაინას რაც აქამდე დახმარება მისდიოდა, ეს კმაროდა იმისთვის, რომ ცეცხლი არ ჩამქრალიყო, მაგრამ არა იმისთვის, რომ უკრაინას თავი რეალურად დაეცვა და რუსეთის შეტევა შეეჩერებინა, ან პირიქით, კონტრშეტევაზე გადასულიყო და ტერიტორიები გაეწმინდა. როცა ამ რეალობას ვერ ცვლი, რა რჩება? — კომპრომისი. პუტინი ან გარკვეულ კომპრომისზე უნდა წავიდეს, ან ტრამპი ეუბნება, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინას იარაღს მიაწვდის და მისცემს უფლებას, შეუზღუდავად გამოიყენოს და ნებისმიერ მიზანს დაუმიზნოს.

რაც შეეხება რესურსს, აშშ შეუდარებლად ძლიერია. ტრამპმა აღნიშნა, რომ რუსეთს დიდ შვიდეულში დააბრუნებს და სანქციებს მოუხსნის. დასავლეთი გაოგნებულია. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ტრამპი საწადელს მიაღწევს.




**— ბატონო პეტრე, ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ, ახალი გლობალური წესრიგის განსაზღვრაზე საუბრობენ. სად იქნება საქართველოს ადგილი ამ გადანაწილებაში?**

— ერთი ფაქტია, ამ გადანაწილებაში საქართველოს ადგილი დასავლეთში ნამდვილად არ იქნება. დასავლეთს — არც ევროპას, არც აშშ-ს, არანაირი ინტერესი არ აქვთ იმის, რომ კრემლს თუნდაც მცირედი დისკომფორტი შეუქმნან იმის გამო, რომ ჩვენთან განლაგებული ორი მძლავრი ბაზა გაიყვანოს, ან ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს. ასე არ იქნება. ეს აღვირახსნილი, უტიფარი ტყუილია, რაც ევროპელი ლიდერებისგან, ევროსაბჭოსგან თუ სხვა ევროსტრუქტურებისგან მოდის, თითქოს ევროკავშირის კარი ღიაა და მასში შესასვლელად ანტიევროპული კანონები ხელს გვიშლის. დიახ, ბედავენ და უტიფრად გვეუბნებიან: „ოჯახისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონი ანტიევროპულია და ჩვენს სტანდარტებს არ აკმაყოფილებსო. თუ გააუქმებთ ამ კანონს, ჩვენს ოჯახში სრულუფლებიან წევრად მიგიღებთო. ამ დროს, სანამ საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზებია და 30 კილომეტრში ტანკები დგას, სანამ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებს, რუსი მესაზღვრეები კი ჩვენი მთავარი ტრასიდან 400 მეტრში დგანან, რა მანძილზეც კალაშნიკოვის ტყვია თავისუფლად აღწევს, მანამდე ევროკავშირში ჩვენ გაწევრიანებაზე ფიქრსაც კი არავინ აპირებს. ეს დახურული საკითხია. ამის შესახებ უცხოეთში აქტიურად იწერება. ჰერჩინსკები და ძმანი მისნი ამის შესახებ კრინტს არ ძრავენ.

პირიქით, ევროპიდან თითს გვიქნევენ, — როცა საქართველოს ტერიტორიების ნაწილი რუსეთს ოკუპირებული აქვს, როგორ ცდილობთ, რომ რუსეთთან მეგობრული კავშირები დაამყაროთო. ჩვენ ამ ეტაპზე რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს. თავად რატომ არ გაწყვიტეს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა, — ის ხომ საშინელი აგრესორია, რომელმაც უკრაინა მიწასთან გაასწორა. ხომ წუხან უკრაინის გამო. მაშინ გაწყვიტონ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა. გაერო-დან რატომ არ აგდებენ რუსეთს?! აქეთ გვსაყვედურობენ, მეგობრული ჟესტის გამოხატვა მტრის მიმართ როგორ შეიძლებაო. იმას კი არ უფიქრდებიან, რომ ნებისმიერი უარყოფითი ჟესტი, ჩვენი მხრიდან რუსეთის მიმართ გამოხატული, თუ კრემლი ამას არამეგობრულად მიიჩნევს, იმ დღესვე გაგვცემს პასუხს ტანკების რუსთაველის გამზირზე შემოყვანით. ასევე, სამხრეთ ოსეთის ოლქის შეერთებით ჩრდილოეთ ოსეთთან. აფხაზეთის შეყვანით ერთობლივ სამოკავშირეო სახელმწიფოში. ეს გვინდა?! ამისთვის უნდა წავიდეთ პროვოკაციაზე? რას ნიშნავს ევროპის მოწოდება, მტრის მიმართ მეგობრულ ჟესტს ნუ გამოხატავთო, აქ ხომ ლაპარაკია იმაზე, რომ როგორმე გადავრჩეთ.

90-იან წლებში ამერიკელი სენატორები საქართველოს ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც გვეუბნებოდნენ, ხალხნო, ამერიკა საქართველოსგან ოკეანეებით არის დაშორებული, ევროპაც შორსაა, რუსეთი კი პირდაპირ თქვენს შიგნით არის შემოსულიო. თქვენთვის მაგალითი უნდა იყოს ბელარუსი, რომელიც რუსეთს „მატუშკა რასიას“ ეძახის და ისე წველის, როგორც უნდაო. ჩვენ როგორ ვიქცევით? — ვდგავართ და ჩვენს მეზობელ უზარმაზარ ქვეყანას, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზეა შემოსული, აქ დგას, არსად წასულა, დღედაღამ ვლანძღავთ. აი, ამას გვეუბნებოდნენ მაშინდელი სენატორები: თქვენ უნდა გადარჩეთ და გესმოდეთ, რომ ვაშინგტონიდან ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთო. დღეს ევროპიდან სულ სხვა რიტორიკა და პროვოკაციული ტყუილები გვესმის.

**თამარ შველიძე**

# ქრთამი ევროკავშირსაც ანათებს!



*გვესაუბრება საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი ბადათერ არაბული:*

**— ბატონო ბადათერ, მთავრობამ საუნივერსიტეტო რეფორმა დააანონსა. რა მოლოდინი გაქვთ?**

— მოგესალმებით, ქალბატონო თამარ, წელს „საერთო გაზეთის“ სტუმარი პირველად ვარ და მინდა, თქვენ, მთელ კოლექტივს და სრულიად საქართველოს წარმატებები, წინსვლა გისურვოთ. ამ გაზეთის დიდი ქომაგი, ერთგული მკითხველი და მოყვარული ვარ. რაც შეეხება შეკითხვას, როცა საუნივერსიტეტო რეფორმას ვახსენებთ, აქვე სასკოლოც უნდა მოვიაზროთ. საზოგადოების ცნობიერების, აზროვნების შექმნის მთავარი ბაზა, პირველი კლასიდან დაწყებული, უნივერსიტეტით დამთავრებული, სწორედ განათლებაა. სამწუხაროდ, ბოლო წლებია, ძველი ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში, ინერციით გრძელდება. იდეოლოგია, რითაც სწავლება მიმდინარეობს, ბავშვებისთვის გამართლებულად არ მიმაჩნია. დღეს სასწავლებლებსა თუ შესაბამის სტრუქტურებში ისევ ის კადრები მუშაობენ, რომლებიც ამ გაუკუღმართებული იდეოლოგიით იკვებებიან. სააკაშვილი რომ მოვიდა, პროფესიონალი, გამოცდილი კადრები „ჩარეცხა“ და მათ ნაცვლად უნივერსიტეტები ვიღაც კმარელი „თუთბერიძეებით“ გაავსო. წარმოგიდგენიათ, ეს თუთბერიძე პროფესორი გახადეს, ნოდარ ტაბიძეს კი პროფესორობა ჩამოართვეს!!! ისტორიის მასწავლებლები, რომლებიც ბავშვებს ქვეყნის ისტორიის, მისი წარსულის, აწმყოს სიყვარულს ასწავლიდნენ, ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები, რომლებიც მათ პატრიოტულად ზრდიდნენ, სასწავლებლებიდან დაითხოვეს.

აქვე ერთ ანომალიურ ფაქტს გავიხსენებ: მოგეხსენებათ, „ილიაუნის“ უნივერსიტეტი ლიბერასტების თავშესაფარია, ახალგაზრდების უმრავლესობა ამ იდეოლოგიით არის მოწამლული. ამას წინათ, „ილიაუნში“ მწერლებთან შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას უნივერსიტეტის კანცლერიც ესწრებოდა, რომელიც სწავლების პოლიტიკას განსაზღვრავს. გამორჩეულმა პოეტმა მანანა ჩიტიშვილმა საკუთარი შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსი წაიკითხა, რაზეც კანცლერმა განაცხადა, პატრიოტულმა თემატიკამ დრო მოჭამაო. წარმოგიდგენიათ, როგორ ახალგაზრდებს აღზრდის ეს სასწავლებელი?! ასევე, გავიხსენოთ, ლომაიასა და შაშკინის პერიოდში რა უქნეს პროფესორ-მასწავლებლებს, როგორ დაატყვევეს. საპროტესტო აქციაში მეც ვმონაწილეობდი, ვითხოვდით, მათთვის წყალი მაინც მიეწოდებინათ. ეს ხალხი უნივერსიტეტებიდან გაყარეს. „კმარას“ და სხვა ნჯო-შნიკები კი უცებ პროფესორ-მასწავლებლებად „აკურთხეს“ და ბავშვებთან და სტუდენტებთან შეუშვეს „ცოდნის გასაღრმავებლად“.

ნაცების მიერ ჩატარებული რეფორმების შემდეგ მივიღეთ ბავშვები განათლების გარეშე. ეს იმის ბრალიც არის, რომ უნივერსიტეტში ლექციებზე დასწრება თავისუფალი გახადეს და დღემდე ასე გრძელდება. სტუდენტები საკუთარი სურვილისამებრ ესწრებიან ლექციებს, მერე გაცდენილი საათების გამო თანხას რიცხავენ. მოკლედ, ლომაიამ და შაშკინმა უმაღლესი სასწავლებლები ასეთი თავისუფალი სწავლების შედეგად, ფულის კეთების ერთგვარ საშუალებად აქციეს.

დღევანდელმა ხელისუფლებამ არაერთხელ გამოთქვა მზაობა განათლების რეფორმის ჩატარებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. უნივერსიტეტის რეფორმაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. უპირველესად, ბავშვმა სათანადო განათლება უნდა მიიღოს. ამისთვის საჭიროა ისეთი სახელმძღვანელოები დაიბეჭდოს, სადაც ბავშვებს ის მასალა მიეწოდებათ, რომელიც მათ საგნის ცოდნასს მისცემს. ასევე, აღზრდის მოქალაქეებად, პატრიოტებად, სამშობლოს მოყვარულ ახალგაზრდებად და არა იმ პიროვნებებად, რომელთაც არც სამშობლოს ფასი იციან, არც წარსულის, არც წინაპრების. კარგია, რომ ხელსიუფლებამ ამ სფეროში რეფორმის გატარება გადაწყვიტა, რადგან საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად საწყისი ბაზა განათლებაა. სააკაშვილისდროინდელი სისტემა რომ შეიცვლება, ახალი თაობის სახით სულ სხვა დონის განათლებამიღებულ ახალგაზრდობას მივიღებთ. რა თქმა უნდა, მთავარი ადგილი ეროვნულ იდენტობას, ტრადიციებს, საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის შესწავლას უნდა დაეთმოს.

ჩვენ სხვა ქვეყნებზე მისაბაძი არაფერი გვჭირს, საკუთარი დიდი ისტორია, კულტურა გაგვაჩნია. პატარა შვილიშვილი მყავს და მისი სახელმძღვანელო სავსეა იტალიელი თუ სხვა ეროვნების მწერლების ნაწარმოებებით, თითქოს ქართველებს თავად არ გვყავდეს ღირსეული მწერლები. დიახ, ჩვენ ყველა ეპოქაში ღირსეული მწერლები გვყავდნენ და მომავალი თაობები სწორედ მათ ნაწარმოებებზე უნდა იზრდებოდნენ. საქართველო დიდი ისტორიის ქვეყანაა და ბავშვმა სწავლა მისი ფესვების გაცნობით უნდა დაიწყოს. საყრდენი ეროვნული იდეოლოგია, ფასეულობები, ტრადიციები უნდა იყოს. გაუკუღმართებულ იდეოლოგიას მოზარდი მერე თავის არჩეულ პროფესიაშიც ნერგავს. უმაღლესი თუ სასკოლო სწავლებიდან ამ იდეოლოგიისგან გათავისუფლება, ახალგაზრდა თაობის აზროვნებას გაწმენდს და მის სახელმწიფოებრივად სწორ აზროვნებას ხელს შეუწყობს.

**— ამ ფონზე რა გასაკვირია, რატომ ვერ ვითარდება ქვეყანა, სადავეები ხომ არაპროფესიონალებს უპყრიათ, რომელთაც „განათლება“ შერბენით მიიღეს, კომპიუტერი, ინგლისური ისწავლეს და ამ ქვეყანას საერთოდ არ იცნობენ, არ იციან მისი ისტორია...**

— სრულიად გეთანხმებით. ბევრი ახალგაზრდა უცხოეთში მიდის, იქ ცნობილ უნივერსიტეტებში რაღაც კურსებს ამთავრებს. ასეთი ცოდნა ქართულ ეროვნულ საფუძვლებს მოწყვეტილია. შედეგად, სამშობლოში რომ ბრუნდება, ქართულ გარემოს, აზროვნებას, ცნობიერებას ვერ ერგება და გაუცხოება ხდება. მერე საკუთარ ქვეყანაში უცხოური განათლების დანერგვას ცდილობენ. ანუ, ლიბერალური მიმართულების დამკვიდრებას. საქართველოში ლიბერასტული იდეოლოგიით განათლებული თაობა მივიღეთ, რომლებიც მერე პოლიტიკაში მოღვაწეობენ და ამ იდეოლოგას ნერგავენ. მთავარია, საზოგადოება, პოლიტიკა ამ იდეოლოგიისგან გათავისუფლდეს და ქვეყანა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

**— ახალგაზრდები 80 დღეზე მეტია, მიტინგებზე დადიან...**

— სამწუხაროდ, ეს რთული პროცესია. ახალგაზრდობა, რომელიც ქუჩაში დგას, გარკვეულ ინტერესს ემსახურება. თუმცა თავადაც არ იციან, რას აპროტესტებენ. გაიძახიან: ჩვენს სამშობლოში — შინ ევროპაში მივდივართო. ისიც არ იციან, რომ ევროპა მათი სამშობლო არ არის. ამ ახალგაზრდებს სამშობლოდ მიაჩნიათ ქვეყანა, რომელიც მათი დონორია. საქართველოში რამდენიმე ათასი ენჯეოა, რომელთა დიდი ნაწილი უცხოეთიდან ფინანსდება, ასევე, ტელევიზიებიც დაფინანსებას „იუესაიდიდან“, დემოკრატიის ეროვნული ფონდიდან იღებენ. ჟურნალისტები, პირდაპირ, იმ იდეოლოგიის აგიტატორები არიან, რასაც ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები საქართველოში ნერგავენ. იგივე, „დიფ სთეითის“ იდეოლოგიას, რომელიც მსოფლიოსთვის მომაკვდინებელია და ტრამპი მას გამალებით ებრძვის.

რამდენიმე დღის წინ ევროპარლამენტარებმა ახალი რეზოლუცია მიიღეს, სადაც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „იმედის“ და „პოსტვ“-ს და ივანიშვილის ოჯახის წევრების დასანქცირება მოითხოვეს. ინიციატორები იყვნენ დევიდ მაკკალისტერი, მაიკ გალერი, ბერნარდ გეტა და და ჟელიანა ზოვკო, რომლებიც „ევროპის დემოკრატიული ფონდის“ მმართველი საბჭოს წევრები



არიან. ისინი საქართველოში ზემოთ ჩამოთვლილი მედიების დახურვას ცდილობენ, ანუ იმ მედიებისა, რომლებიც აქ მათი იდეოლოგიის დამკვიდრებაში ხელს უშლიან. ეს ხალხი ოპოტელევიზიებს აფინანსებენ და ყოველდღიურად საზოგადოებას ამ გაუკუღმართებული იდეოლოგიით წამლავენ. დიახ, ისინი საქართველოში ჯანსაღი აზრის გავრცელების საწინააღმდეგოდ მუშაობენ.

გერმანიის ელჩმა ფიშერმა ახლახან გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს, ევროკავშირმა მოლდოვას მილიარდ 800 მილიონი ევრო საჩუქრად გადასცა, ხოლო საქართველო, რომელიც ევროკავშირს წინააღმდეგობას უწევს და მის მითითებებს არ ასრულებს, ამ საჩუქარს ვერ მიიღებს. ფიშერმა იტყუილი თქვა, — ეს სესხი აღმოჩნდა, რაც მოლდოვამ უკან პროცენტებით უნდა დააბრუნოს. იგივე იქნებოდა საქართველოსთან მიმართებითაც. დემოკრატიული ფონდის მიერ დაფინანსებულმა ოპოტელევიზებმა ააგორეს ცრუ ინფორმაცია, — ხელისუფლება საჩუქარს კარგავსო. ტრამპმა განაცხადა, რომ „დემოკრატიის ეროვნულ ფონდს დაფინანსება“ შეუჩერდება. ეს მაფიოზური მოძრაობა უნდა დამთავრდეს. ამიტომ ტრამპის გამარჯვება მისასალმებელია. ოპოზიციას, ნჯო-ებს, მისი მოსვლით, მეხი დაეცათ.

მაგალითად, სწორედ „იუესაიდი“ აფინანსებდა საქართველოში სახელმძღვანელოებს ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, სადაც მე7-მე-11-ე კლასელ მოსწავლეებს სხვადასხვა რეგიონებში სექსუალური სწავლების გაკვეთილები უტარდებოდათ. „იუესაიდის“ და „დემოკრატიის ეროვნული ფონდის“ დაფინანსება ტრამპმა შეაჩერა. საქართველოში ამ ფულს ქვეყნის საზიანოდ იყენებდნენ.

**— ბატონო ბადათერ, სამთვიან პროტესტში ჩაბმულნი არიან თქვენი კოლეგებიც, მწერლები, ასევე თეატრალები. როგორ უყურებთ ამ პროცესს?**

— ყველა მწერალმა, მსახიობმა თუ რეჟისორმა თავისი საქმე უნდა აკეთოს და პროტესტი, მისი დამოკიდებულება ისე გამოხატოს. კომუნისტების პერიოდში მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში, რეჟისორები ფილმებში ქმნიდნენ იმ მუხტს, რაც საზოგადოებას ზრდიდა და ახალ აზროვნებას სძენდა. დღეს თეატრის წარმომადგენლები ქუჩაში დგანან და დროშებს იქნევენ, ეს არაფრისმომცემია. ეს მათ ბიოგრაფიაში ყველაზე მდარე სპექტაკლია. ქუჩაში მანიფესტებს, სჯობს, თეატრს დაუბრუნდნენ. რეჟისორებმა ისეთი სპექტაკლები უნდა დადგან, რაც საზოგადოებას მოამზადებს და უკეთესს გახდის. მსახიობებიც, მწერლებიც „იუესაიდთან“, „დემოკრატიის ეროვნულ ფონდებთან“ იყო დაკავშირებული. წიგნების გამოცემა, თეატრების დაფინანსება, ამ ფონდებით ხდებოდა. ამიტომაც, ისინი ქუჩაში გამოსვლით, დემოკრატიული ფონდის“ ხელმძღვანელების მითთებებს ასრულებენ. ისინი, ფაქტობრივად, ქუჩაში დგომაში ხელფასს იღებენ. ეს უნდა დამთავრდეს და ყველამ თავისი საქმე აკეთოს, — მწერალი წიგნს დაუბრუნდეს, მსახიობი — სცენას და ინტელექტუალური საზოგადოებრივი ფონი შეიქმნას, რაც საქართველოს ღირსეულად წარმოაჩენს და არა მიტინგებზე ირბინოს, ან ქუჩებში პოლიციელები, შენობების გადაწვას. ეს ავანტიურაა, რაც არავს ეპატიება. ქვეყანამ დემოკრატიული განვითარება უნდა განაგრძოს. მადლობა უფალს, ამისკენ მოწადინებულია ჩვენი ხელისუფლება, რომელმაც ომს, ათას უბედურებას აგვარიდა და მშვიდობისკენ მავალ გზაზე პრინციპულ, გამბედავ ნაბიჯებს დგამს.



**თამარ შველიძე**

# სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს...

3 გვ.

რიც ამათ მხარეს ყოფილა, ნჯო-ებისაც და ფედერალისტებისაც. და საერთოდ, ყველა ჯარიმა, რაც ჩვენი ხელით იქნება გადახდილი, ჩვენვე უნდა დაგვიბრუნდეს, ამ პირობას ვუყენებთ პოლიტიკურ პარტიებს, რომ ცოტა ვადიან ანაბრად და მომავლის ბონუსად ვუყურებდეთ და არა ხარჯადო. რაღაც არ დამიჯდა ჭკუაში და თან მათი შემშურდა, — რა კარგი იქნება, როცა ჭკუა არ გაქვს და არც თვლი საჭიროდ, რომ გქონდეს...

გავიხედე და ადამიანი-პინგვინი მეტყველებდა, სლოვაკეთი, უნგრეთი, თურქეთი, ჩინეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი ჭაობში მყოფი ქვეყნებიაო. მომკლა ინტერესმა, რატომ არ იყო ამ ჩამონათვალში რუსეთი და რადგან არავინ ამიხსნა, გულნაკლული დავრჩებოდი, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება რომ არ წამომსწრებოდა, — ჩვენი ბანის გარშემო აგორდა ვნებათაღელვა, ნახეთ, რეპრესიები სადამდე ავიდა, რას ჰქვია, ოპერისა და ბალეტის თეატრში 70 წლის იუბილეს გადახდის უფლება არ მისცესო.

აღშფოთებული „ნაცშპანა“ რუსთაველზე რომ დაიძუძგებოდა და „ბურჭულაძეობდა“, თვით მსოფლიო ბანი მამუკა ხაზარაძის სადღეგრძელოს ნეტარად ყლურწავდა. ხაზარაძეს გადაუხდია მისთვის იუბილე რომელიღაც რესტორანში და სულ რუსულნომრიანი მანქანებით „უტასავიათ“ გადი-გამოდი სასტავს. თან, მალევე, ხაზარაძეს უნდა ეთქვა, რომ დაიწყებენ მოლაპარაკებას რუსეთთანაც და დაალაგებენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს. თურმე, ის პინგვინი გეგელია იმიტომ არატრატებდა ენას რუსეთის გამოკლებით. ეჰ, ბანო!.. აბა, იმას ხომ არ იტყოდა, რომ არავინ უშლიდა იუბილეს გადახდას თეატრის ხელმძღვანელობის ჩათვლით, მაგრამ თუ აქამდე ბიძინა ივანიშვილი უხდიდა, ახლა მისი სახით სახელმწიფომ გადამიხადოსო, — თვითონ ასე თვლიდა მართებულად.

მეგონა, აღარაფერი გამაკვირვებდა, მაგრამ თურმე, ვცდებოდი. „ენმ“-მა განცხადება გამოაცხო, დიფ-სტეიტი რეალურია, მაგრამ საერთაშორისო კონგლომერატია, რომელიც დემოკრატიის დასრულებას და ავტოკრატიის დამყარებას აპირებს ყველგან, რათა მხოლოდ ოლიგარქებმა გაიხარონ და ამის ნაწილია ბიძინა ივანიშვილიო. გაოცებისგან კარგახანს ვაკვარკვალე თვალები და ბოლოს ზეცასღა შევძახე გაოგნებულმა: ყოჩაღ, ბიძო-მეთქი!




ესენი ხომ მთლად გაჭიაყელდნენ, — უსამშობლო გვარამია და გირჩი ისე ამაყად აცხადებდნენ, ევროპაში მივდივართ საქართველოსა და იმ ხალხისთვის საჩივლელად, ვისაც საქართველო სამშობლოდ მიაჩნიათო, რომ სირცხვილით ლამის მე დავიწვი. ბიჯო, განა გაუკვირდა ვინმეს, მაგრამ ასე ღიად? ეს სვედამწვრები რანაირად გამორეცხეს ძირფესვიანად, რომ წმინდა აღარაფერი შერჩათ? ამ შემთხვევაში უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, რომ იმ ევროპაში, „დაკლადი“ ბუტიკაშვილ-სამყურაშვილს ჩააბარეს და ის სამი გამვლელი ვინღა იყო, აზრზე არ არიან... კი მაგრამ, ისინი აქ არ ჰყავდათ?

ამასობაში უკრაინაშიც გავრცელდა შეშლის ვირუსი, — გონჩარენკო შეიშალა და ზელენსკიზე სულ „კიმ ჩენ ზე“ იძახა, „ზელენსკიზმიო“, უკრაინის კორეიზაციაო, სამხედრო კომუნიზმიო და არიქათო. რა ქნას პოლიტიკური მოდის მიმდევარმა ფინიამ, აღარ არის უკრაინა მოდაში...

ძალიან მაინტერესებს, უკრაინის დროშისფრად გადაღებილი მატრაბაზები რატომ არ მიდიან აშშ-ის საელჩოსთან და რატომ არ აპროტესტებენ ყველაფერ იმას, რასაც აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია სჩადის მათ წინააღმდეგ და ახლა ამას უკრაინის გაფარჩაკების სურვილის აღიარებაც დაერთო.

ტრამპმა, — რუსეთი დიდი რვიანის წევრი იყო და კვლავაც უნდა იყოსო;

პიტ ჰეგსეტმა, — სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის საჭირო არ არის რუსეთის მხრიდან რაიმე დათმობებიო; უკრაინისა და ევროპის უსაფრთხოება აღარ წარმოადგენს ამერიკის პრიორიტეტსო; ევროპის ჯარები უნდა იყოს ევროპის უსაფრთხოებისთვის, ამაში აშშ არ მიიღებს მონაწილეობასო.

რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებს ბუფერულ ზონად არ განვიხილავთო, — თქვა ბრაიან მასტმა. რა მაგარი მასტია, მასტი! ის იყო პირველი, ვინც ენტონი ბლინკენს დააცხრა, ნუ ატყუებთ ხალხს, მიპასუხე, სად მიდის ჩვენი ფული, თქვენ აფინანსებსთ ტერორისტებს არასამთავრობოების გავლითო.

მოკლედ, ტრამპის ადმინისტრაციისა და დანარჩენი „ჩვენი მეგობარი“ კრებსითი დასავლეთის ამბავი ისეა, როგორც მიხოსა და სიკვდილისა. მიხო ვენახში ფუსფუსებს და გაიხედავს, სიკვდილი მოსულა, მისკენ მოაბიჯებს, ავისმომასწავებლად ულაპლაპებს ცელი. გადაიწერს პირჯვარს, ზურგს შეაქცევს და განაგრძობს ფუსფუსს. სიკვდილი ახლა წინ დაუდგება. მიხო ისევ ზურგს შეაქცევს. ერთხელ, ორჯერ, ათჯერ. მოსწყინდა სიკვდილს, აღარ შემოუარა, გვერდზე დაუდგა და ყურში ჩაჰყვირა: ბიჯო, კაცურად მინდა წაგიყვანო, თორემ სულს ევსტაქის ლულიდანაც გამოგაძრობო...

მალევე ისეთები ითქვა მიუნხენის კონფერენციაზე, რომ „რუსეთი ევროპის მთავარი საფრთხე არ არის, საფრთხე თვით ევროპაშიაო“, მგონი, ყველაზე უწყინარი ფრაზა იყო, — დაახურა ჯეი დი ვენსმა მთელ ევროპას უარღნო დედა... მამაჩემცხონებამ, ურსულა დეიდას თუ ჭკუა აქვს, „კუხნაში“ დროზე უნდა შევიდეს, თორემ „ფაიზერით“ ცუდად აცრიან და ქმარსაც ზედ დააააცრებენ...

შოლცმა რაღაც წაიყუყუნა და კაროლინ ლევიტმა ოკეანისგაღმიდან შეუყვირა, სიტყვები დააწმინდავე და საერთოდაც, თქვენი ადგილი განსასჯელის სკამზეაო; ჩინელი ჟურნალისტი კაია კალასმა გააოგნა, რა საშინელებაა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი რომ სულელიაო...

ხარჯი ხარჯიაო, იფიქრა ტრამპმა და ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი, ის კარიმ ხანიც მოაყუჩა, რომელმაც პუტინის დაპატიმრების ორდერი გასცა. კი იყო მოსაბოლტი, რადგან თანამდებობა საკუთარი ძმის გამო ბოროტად გამოიყენა, მაგრამ სხვანაირად გამოჩნდა...

დოიშვილები კი გაბმით დოიშვილობენ...

**ზურა ოქხერელი**

# მე ეგ გოგო ჩემთვის მინდა!..



მე და პუტინი ყოველდღე ვსაუბრობთ, — განაცხადა ტრამპმა. რა ინტენსივობით საუბრობენ, არ ვიცი, მაგრამ ისეთი ამბები ირკვევა და იკვეთება, მგონი, პუტინი დღის ერთ ნახევარში ტრამპს ესაუბრება და მეორე ნახევარში სი ძინპინს ემასლაათება, იმან ასე მითხრა და ჩვენ ისე დავალაგოთ, რომ ისიც კარგად იყოს და ჩვენც, დანარჩენებს მოევლებათო...

გამოუყენებელი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ **კანად**ას, თურმე, ბიუჯეტის მესამედი აშშ-იდან ჰქონდა, რასაც აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობაც ერთვოდა. გარედან სხვანაირად ჩანს, მაგრამ შიდა მდინარებებში ჩახედულ ტრამპს რომ კანადის შტატად მიერთება მოსვლოდა აზრად, რა გასაკვირია, მით უმეტეს, რომ ამ მოწადინებას ტრამპს ვერ მივაწერთ, მანამდეც ავითარებდა იგივე მისწრაფებას აშშ-ის ზოგიერთი პრეზიდენტი.

ტრამპი, როგორც ჯერჯერობით საკუთარ პორტრეტს ხატავს, იმდენად პირდაპირი პერსონაა, რომ ხშირ შემთხვევაში, როყიოდ წარმოჩინდება ხოლმე, თუმცა თვით მას ეს სრულებით არ უქმნის დისკომფორტს, პირიქით, პირდაპირ რომ ამბობს სათქმელს, თვითონვე კმაყოფილია. ახლა ის არის საკითხავი, მთქმელი და ბოლომდე აღმსრულებელია, თუ მედღეხვალიე, კვირაში ხუთი პარასკევი აქვს, თუ პირიანი კაცია, — რა თქმა უნდა, ტრამპში სრულიად მის გარემოცვასაც ვგულისხმობ.

კაცმა რომ თქვას, რატომ არ შეიძლება, რომ თვით იმ აშშ-ში მოსწყენოდათ მმართველობის ის დამკვიდრებული სტილი, რომელიც სიცრუეზე, მუხანათობაზე, ორმაგ სტანდარტზე, ომებზე, რევოლუციებზე და სხვა უმსგავსობებზე იყო გათვლილი. ის თუ დაინახა ტრამპმა, რომ აშშ ისეა გატყავებული, რომ გაძლიერება, ძველი დიდების დაბრუნება სჭირდება, მაშასადამე, ისიც დაუნახავს, რომ ყველა მისმა თანამედროვე წინამორბედმა მსოფლიოს შეაძულა მოძალადე, ბოროტი, ორპირა და არასანდო აშშ.

**გრენლანდია** მინდაო, ტრამპმა რომ გაამხილა და დანიელი პოლიტიკოსი ისე გამოვიდა წყობიდან, ხმამაღალი გინება შეუთვალა შუაგულ ევროპიდან, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა; ისიც გამიკვირდა, ყვირილით რომ ჩამორაკრაკა, 800 წელია, გრენლანდია დანიის არის, არ იყიდებაო. სხვის სანეხვეზე ორი ბეღურა იბრძოდაო, მუდამ ასეა საქმე.

გრენლანდიას სანამ ერიკ წითური აღმოაჩენდა (რომელიც ნორვეგიაში დაიბადა, მაგრამ ისლანდიაში ჩადენილი მკვლელობის გამო გაასახლეს) და გრენლანდიას დაარქმევდა, მანამდე რა ერქვა, არავინ იცის, მაგრამ მის მიმთვისებელ ევროპელებამდე არსებობდა და პალეო-ესკიმოსური კულტურის კერას წარმოადგენდა, რომლის შესახებ მხოლოდ არქეოლოგიური ნაშთებით არის ცნობილი. ეს კულტურები ქრისტეშობამდე დაახლოებით 2500-800 წლებში ვითარდებოდა. სამხრეთ-დასავლეთ გრენლანდიაში გავრცელებული იყო საკაკის კულტურა. აღმოჩენების უმეტესი ნაწილი დისკოს ყურეშია გაკეთებული.

ჩვ. წ. აღ. 2400-1300 წლებში ჩრდილოეთ გრენლანდიაში გავრცელებული იყო კულტურა, რომელსაც, პირობითად, „დამოუკიდებელ I კულტურას“ უწოდებენ, რომელიც შემდგომ „დამოუკიდებელმა II კულტურამ“ ჩაანაცვლა. ის იყო არქტიკული ინსტრუმენტების ტრადიციის ნაწილი.

აბა, დანია თუ ვახსენო ბოლო წუთამდე!

ისლანდიელებმა და ნორვეგიელებმა 986 წლიდან დაიწყეს გრენლანდიის კოლონიზაცია და კუნძულის სამხრეთ-დასავლეთში გაჩნდა პირველი დასახლებებიც. ისინი გვიანდელი, დორსეტის კულტურის ხალხთან ერთად ცხოვრობდნენ, ხოლო მოგვიანებით — ტულეს ტომებთან. ასე რომ, 1386 წლიდან კუნძული ერიკ წითურის სამშობლოს, ნორვეგიას ეკუთვნოდა, მხოლოდ 1814 წელს მოექცა დანიის დაქვემდებარებაში, რომელმაც 1979 წელს ფართო ავტონომია მიანიჭა. ის, რომ 1397 წელს ნორვეგია დანიას კალმარის უნიით შეუერთდა და იქ დანიის მმართველობა გავრცელდა, არაფერს ნიშნავს.

ისე, რუკას რომ დახედავ, თუ აუცილებლად ვინმეს უნდა ეკუთვნოდეს, გრენლანდია, ან კანადის უნდა იყოს, ან — ისლანდიის. დანია ვის დაჰკარგვია, რა შუაშია, საერთოდ...

ასეა თუ ისე, მაშინ, როცა არქტიკა რუსეთს ეკუთვნის უზარმაზარი ბუნებრივი მარაგებით, წამხედურ აშშ-ს რომ გრენლადია უნდოდეს, რა გასაკვირია.

გრენლანდიელებმა გააპროტესტეს ტრამპის სურვილი. ახლა მხოლოდ ის არის საკითხავი, რანაირად შემოუვლის ტრამპი, ან მისი მომდევნო პრეზიდენტი ამ საქმეს. ისე, აქამდე რომ გაეხსნათ აშშ-ის საელჩო გრენლანდიაში და არასამთავრობო ორგანიზაციებიც შეესიათ, 57 000 მოსახლე უკვე ათვისებული ეყოლებოდათ...

**პანამის არხიც** უნდა აშშ-ს!

პანამის არხის მშენებლობა ფრანგებმა დაიწყეს და აშშ-მა დაასრულა, მაგრამ ტერიტორია კოლუმბიისა იყო, 1999 წელს კი პანამის მთავრობას გადაეცა. პანამის მთავრობა კატეგორიულად აცხადებს, რომ არხი მისია და „თითი

12 გვ.



# ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში დაფუძნებულია საბავშვო უნივერსიტეტი

ბატონი **ბიძინა ივანიშვილი** ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი ეტაპის დასრულებულ სამუშაოებს მეუღლესთან, ქალბატონ **ეკატერინე ხვედელიძესთან** ერთად გაეცნო. უნივერსიტეტი სტუდენტების ახალი ნაკადის მისაღებად ემზადება მათემატიკის, მენეჯმენტისა და კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამებზე.

პირველ ნაკადი უნივერსიტეტმა 2020 წლის სექტემბერში მიიღო. მას რეგიონში ანალოგი არა მოეპოვება.

ბიძინა ივანიშვილმა და მისმა ოჯახმა ქუთაისის უნივერსიტეტის მშენებლობისთვის მილიარდი ევრო გამოყო.

სათანადო მასალების თანადროული მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის აღმასრულებელი დირექტორის, რექტორის **(გიორგი ხუბუა)** თანაშემწეს, ქალბატონ **ნინო კვისკვეიძეს**.

**gurimari1953@gmail.com;** ტელ.: 571 21-27-70.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU) ჩვენი ქვეყნის ყველაზე მასშტაბურ საგანმანათლებლო მეგაპროექტს წარმოადგენს, რომელიც 2020 წელს გაიხსნა და უკვე პირველი კურსდამთავრებულები ჰყავს. KIU დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში დაარსებული ერთადერთი საერთაშორისო სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის იდეა ბატონ **ბიძინა ივანიშვილსა** და **მის ოჯახს** ეკუთვნის. უნივერსიტეტის განვითარების მიზნით, საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდი **„ქართუ“** ერთი მილიარდი ევროს ღირებულების ინვესტიციას ახორციელებს.

ამჟამად KIU-ში **1400**-მდე სტუდენტი სწავლობს, რომელთა უმრავლესობა წარჩინებული მოსწავლე — ოქროსა და ვერცხლისმედალოსანი, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი და საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების საქართველოს ნაკრების წევრი და ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების მონაწილეა.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტები ყოველწლიურად სტაჟირებას გადიან ქვეყნის წამყვან კომპანიებსა და ორგანიზაციებში. ისინი გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD)-ის მიერ დაფინანსებული პროგრამისა და გაცვლითი პროგრამის მეშვეობით მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ. ასევე, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, იმყოფებოდნენ ისეთ წამყვან უნივერსიტეტებში, როგორებიცაა: ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ზაარლანდის უნივერსიტეტი, პარიზის საკლეს უნივერსიტეტი და ავეიროს უნივერსიტეტი.

ამასთან, სტუდენტებმა სტაჟირების კუთხით გამოცდილება მიიღეს ევროპის წამყვან კვლევით ცენტრებში: **FORSCHUNGSZENTRUM JÜLICH GMBH, JÜLICH** და **GSI Helmholtzzentrum für Schwerionenforschung GmbH**.




KIU თანამშრომლობს ევროპის წამყვან მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან და მისი საოპერაციო მოდელი შემუშავებულია TUM-თან პარტნიორობით. სწავლების პროცესს უძღვებიან ქართველი და უცხოელი პროფესორები. სწავლა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე უნივერსიტეტში ხორციელდება კომპიუტერული მეცნიერების; მათემატიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამები; „ფინანსებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის“ (FIM) სამაგისტრო პროგრამა.

ახალი სასწავლო წლიდან განხორციელდება საბაკალავრო პროგრამა მათემატიკასა და აპლიკაციებში: საფუძვლები ხელოვნურ ინტელექტში, მეცნიერულ გამოთვლებსა და ფინანსურ მათემატიკაში; საბაკალავრო პროგრამა დიზაინში; საბაკალავრო პროგრამა მედიცინაში; ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა ფსიქოლოგიასა და საბაკალავრო პროგრამა სამართალში.

**სამაგისტრო პროგრამე**ბი: ინტელექტუალურ საკუთრებაში, ინოვაციებსა და მეწარმეობაში და სამაგისტრო პროგრამა ჩაშენებულ კომპიუტერულ სისტემებში.

**სადოქტორო პროგრამები:** ერთობლივი სადოქტორო პროგრამა ინოვაციების მეცნიერებასა და სადოქტორო პროგრამა ოპერაციებისა და გლობალური მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში.

2024 წელს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა (KIU) ახალი პროექტის, KIU-ს **საბავშვო უნივერსიტეტის** განხორციელება დაიწყო. „KIU-ს საბავშვო უნივერსიტეტი“ — ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობისა და სწავლის სიყვარულის გაღვივებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების ადრეული ასაკიდან გაცნობის ხელშეწყობას. ასევე, კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობისა და სოციალური უნარების განვითარებას და კარიერული ჰორიზონტის გაფართოებას. სალექციო კურსებს კითხულობენ როგორც KIU-ს პროფესორ-მასწავლებლები, ისე მოწვეული ლექტორები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პროექტის სამიზნე აუდიტორია გაფართოვდა. აქამდე KIU-ს საბავშვო უნივერსიტეტში ჩართვა მხოლოდ **იმერეთის რეგიონის სკოლების მე-9 - მე-12 კლასების მოსწავლეებისთვის იყო შესაძლებელი,** ახლა კი, საბავშვო უნივერსიტეტის საჯარო ლექციების მოსმენა **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სკოლების მოსწავლეებსაც შეუძლიათ.**

მენეჯმენტის, მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების სკოლებმა წარმატებით განახორციელეს პროექტები —







**ბატონო ბიძინა, დაბადების დღეს გილოცავთ, 69 წლის ყველა დროის სწორუპოვარ ქველმოქმედ ქართველს, დედა-სამშობლო — დედა-საქართველოში.**





**DAAD**-ის, **COST**-ის, **BMBF**-ის, **Erasmus+**-ის, **CIF**-ისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის აქტიური ჩართულობით.

2020 წლიდან დღემდე KIU-მ არაერთ ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ღონისძიებას უმასპინძლა. მათ შორის: ფიზიკის, ინფორმატიკის, ასტროფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადებს; უნივერსიტეტში ჩატარდა არაერთი გამოფენა, **ჰაკათონი** (პროგრამისტების მარათონი, — გ. ო.) საზაფხულო და ზამთრის სკოლა, პოდკასტის ჩემპიონატი, დასაქმების ფორუმი. KIU მონაწილეობდა საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებსა და პროექტებში.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტური დაფინანსების პროგრამის ფარგლებში შეიქმნა კალათბურთისა და ფრენბურთის გუნდები, **KIU ბენდი,** (ბურთიანი ჰოკეი ყინულზე, — გ. ო.) ინტელექტუალური კლუბი, ანიმაციის კლუბი და სხვა. სტუდენტებმა ასევე, დააარსეს სტუდენტური კლუბები, მათ შორის, KIU ელექტროინჟინერიისა და KIU პროგრამირების კლუბები.

KIU-ის **კამპუსი** (სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი; სტუდენტთა ქალაქი აშშ-ში, — გ. ო.) მდებარეობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, ქუთაისის ცენტრის მახლობლად. კამპუსი გაშლილია 160 ჰექტარ მიწის ფართობზე და გარშემორტყმულია ბიომრავალფეროვანი ტერიტორიით. ის გთავაზობთ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ეკოსისტემას, კომფორტულ და სრულად აღჭურვილ საცხოვრებელ სივრცეს. უნივერსიტეტი მოიცავს თანამედროვე და უახლეს ლაბორატორიებს, კაფეტერიებს, ბიბლიოთეკებს, საერთო სამუშაო სივრცეებს, ინტერაქტიული სწავლის მართვის სისტემას და ინფრასტრუქტურას, რაც მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის სწავლა-სწავლებისა და კვლევის ჩატარებისთვის.

KIU-ს მშენებლობა 2018 წელს დაიწყო. მისი განვითარება რამდენიმე ფაზადაა დაყოფილი და მშენებლობის პროცესიც სხვადასხვა ეტაპისგან შედგება. წელს დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა კიდევ ერთი ახალი, 27.000 კვ. მ ფართობის მქონე ობიექტი — აკადემიური კორპუსი, სადაც განთავსებულია სალექციო სივრცეები, აუდიტორიები, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული ოფისები, საკონფერენციო დარბაზები.

უახლოეს პერიოდში სრულად აღიჭურვება და ასევე, ექსპლუატაციაში შევა პროფესორ-მასწავლებელთა საცხოვრებელი კორპუსები, სპორტული მოედანი და რეკრეაციული ზონა.

პარალელურად, მიმდინარეობს ქუთაისის **ადრონული თერაპიის** ცენტრის მშენებლობა. ცენტრში განთავსებული იქნება ორი **ციკლოტრონი** — ერთი სრულად მოემსახურება **სიმსივნური დაავადებების** მკურნალობას, ხოლო მეორე **ბირთვული ფიზიკისა** და **მაღალი ენერგიების** დარგში ფუნდამენტური კვლევებისთვის იქნება განკუთვნილი. **KIU გახლავთ ის დგილი, სადაც ცოდნა ქმნის მომავალს!**

* * *

ამას წინათ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU) საბავშვო უნივერსიტეტი გაიხსნა, რომლის ფარგლებშიც KIU-ს რექტორმა, პროფესორმა **გიორგი ხუბუამ** ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე — **„რა არის სამართლიანობა?“** მისალმების კვალდაკვალ მან მოსწავლეებს ახალი პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. KIU ახალგაზრდებს კიდევ არაერთ საინტერესო აქტივობას შესთავაზებს, რაც მათ ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან ინტეგრაციაში.

საჯარო ლექციას სამეგრელოს რეგიონის სკოლების მე-9-მე-12 კლასების 400-ზე მეტი მოსწავლე ესწრებდა. შეხვედრას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, ბატონი **დავით ვერავა** ხელმძღვანელობდა. მონაწილეებს ჰქონდათ მათთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მიღებისა და თავიანთ მოსაზრებათა გაზიარების შესაძლებლობა. ლექციის დასრულების შემდეგ, KIU-ს სტუდენტ-ელჩებმა მოსწავლეებს საუნივერსიტეტო ქალაქი დაათვალიერებინეს და საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. KIU-ს საშვილიშვილო პროექტებს აფინანსებს საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“.

**P. S.** „დისთეითური“ ევროპარლამენტისგან დასანქცირებულია ბატონი **ბიძინა ივანიშვილი**; დასანქცირებული არიან მისი ოჯახის წევრები, დასანქცირებული არიან მისი თანაგუნდელები, ეროვნული ბანკის მეთაურობით, ანუ დასანქცირებულია მთელი საქართველო. დასანქცირებულია ჩვენი რვაათასწლოვან ისტორია, მესოპოტამიას აქეთ. დასანქცირებულია ჩვენი თვალშეუდგამი მწვერვალების ქარავანი კავკასიონზე. დასანქცირებულია გმირთაგმირი **ამირანი,** რომელიც **პრომეთედაა** ხმობილი მოგვიანებით არიულ ტალღას ჩამოყოლილი ბერძნების მიერ; დასანქცირებულია ჩვენ წინაპართა საძვალენი და აჩრდილები თავიანთი ულანდო მოსასხამებით. დასანქცირებულია ჩვენი სამერთიანი დრო — **კონტინუუმი** — წარსული, აწმყო და მომავალი, ერთ პეშვში ტობავარჩხილივით მოკამკამე.

მაგრამ წარმოიდგინეთ, როდინს სანაყი



# საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU) ქუთათურების მამაპაპურ მუხნარში

ქვა არ აცდენია ჯერეთ. ურა ცხენზე ჩვეულებისამებრ იდგმება უნაგირი. მშვილდის ლარს მორგებული ისარი მზადაა ჰაერში გასაზუზუნებლად და ქვეყნის მოღალატეთა დასაკეჭნავად. ქვევრებში ბუყბუყი არ შეუწყვეტია მამაპაპურ რქაწითელს. არ დამდგარა გური ოტობაიას რომანი „დიფ სთეითის“ გმირებზე — **ჯონ კენედიზე, დონალდ ტრამპზე, ილონ მასკზე, ვიქტორ ორბანზე, ბიძინა ივანიშვილსა** და მათ კაცობრიულ ამქარს ადევნებულ ოლიგარქიულ მსოფლიოზე; მზეც ჩრდილოეთიდან ამოდის კვლავინდებურად და მთვარე მსგეფსური მონაცვლეობით მიგორავს ცისკიდურზე ორსულ დედათა წელის შესანარჩუნებლად.

საბედნიეროდ, არც ჩინეთის დიდი კედელი ჩამოშლილა რიყედ და აღარც ნიანგის წვეთ ხვლიკს გამოსდის დინოზავრობა. მოკლედ, დასანქცირებულია ქართული ფაუნა და ფლორა, თუმცა, ბაყაყებს აღარ ამოსდით კბილები გიურზათა დასაკბენად.

ჰოდა, ამისთანა მამასისხლურ ვითარებაში, აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** ვაჟკაცურად გაილაშქრებს „დიფ სთეითის“ წინააღმდეგ, რომელიც ყველა უბედურების სათავედ არის გამოცხადებული საჯაროდ. არანაკლები გასახტებები მოჰყვება გერმანიაში, შუაგულ ევროპაში, აშშ-ის ვიცე პრეზიდენტ **ჯეი დი ვენსის** ვიზიტს და ევროკავშირელების პოლიტიკურ გაჯორვებს თუ ალიყურებს მთელი მსოფლიოს წინაშე, რწმენის ხელყოფიდან მოყოლებული, არჩევნებში სრულიად ანტიკონსტიტუციური, ანტიადამიანური ჩარევების გამო.

დღევანდელ საქართველოში **75** უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, სადაც **144 ათასამდე** სტუდენტი სწავლობს. ამათგან **20** სახელმწიფოა, ხოლო კერძო – **55**. მიუხედავად იმისა, რომ კერძო დაწესებულებების რაოდენობა **2,8**-ჯერ მეტია სახელმწიფო დაწესებულებებზე, **65** პროცენტი სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლობს, სადაც მაგალითისთვის, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, ბატონ **ირაკლი კობახიძეს** ლექციის ჩატარებას უბლოკავენ „დიფ სთეითით“ ანგაჟირებული სტუდენტები. კერძო უნივერსიტეტების მეტი წილი დედაქალაქშია თავმოყრილი ახალგაზრდა ფსიქოლოგ-ანალიტიკოსის (26 წლის) **მარიამ მაისურაძის** რწმუნებით, პუბლიცისტ **ზაურ ნაჭყებიას** საავტორო გადაცემაში **„პოლიტიკური თერმომეტრი“** (ტელესტუდია **„სალტე“**). მისივე თქმით, ეს ახალგაზრდები ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკაცობრიული პროგრამების წყალობით უმთავრესი ფასეულობად საკუთარ სხეულს, საკუთარ ემოციებს მიიჩნევენ.

მათი უმეტესობა აღზრდილია ინდივიდიალისტებად. ისინი არაფრად დაგიდევენ დოქტრინას — **ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია.**

დაინახა ეს მავნე ტენდენციები საქართველოსთვის თავგადადებულმა კაცმა, სწორუპოვარმა ქველმოქმედმა **ბიძინა ივანიშვილმა** და შექმნა კიდეც ზოგადკაცობრიული მიზანდასახულობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დღემდე მოჭარბებული ჰუმანიტრული დარგების გაფეტიშების ალტერნატივად. აქ მეტი ყურადღება ეთმობა საბუნებისმეტყველო დისციპლინებს: **ფიზიკას, მათემატიკას, მენეჯმენტს, ინფორმატიკას,** და მყარად გვწამს, რომ ეს ხალხი მართლზომიერი, წელგამართული საქართველოს აღმაშენებლად მოგვევლინებიან ხვალ-ზეგ.

აქვე, ამაზე მეტი უსამართლობა გაგონილა, ბატონ ბიძინას საყვედურობდეს ჭკუანაღრძობი ხალხი ქვეყნის სათავისოდ მისაკუთრებას, როცა უმთავრესი ფულადი რესურსები მისთვის მოუხმარია?! შეურაცხადი უნდა იყო, სალოსი, ამ უსაფუძვლო, ეგოისტური ბრალდებებით განაქიქებდე ქვეყნის ეროვნულ გმირად შესარაცხ






პიროვნებას! თავისუფლების ხელყოფას აბრალებენ ჩვენს ხელისუფალთ, ამ დროს ქვეყანა რომ აამტუტე, კანონიერების დამცველები რომ დაასახიჩრე, თავზე ხელის გადასმას ელოდი, შვილოსა?!

დაფდაფზე ჯოხების ბრახაბრუხით უკანს მოსდევს გაწლიკულ გოგონას ეგზალტირებული ახალგაზრდების ტალღა. ესენი კარგად არიან თავისუფლების უნივეტრსიტეტებში გაწვრთნილები დემონსტრაციების ჩატარების კუთხით. კაფანდარა გოგონა მეგაფონის გადმოფიშქინებულ რუპორ-ყურს ჩასძახებს შუა რუსთაველზე: **„არ იქნება სამართალიო?“** და უკანმიდევნებულებიც ეგრევე დასცხებენ დაზუთხულ ფრაზას: **„არ იქნება მშვიდობაო“. აბა, რა იქნება, ჩემთავმკვდრებო, ჩოხელისებურად?! კონფრონტაცია? „დიფ სთეითები“, რომელსაც ომი გამოუცხადა ტრამპმა და მისმა გარემოცვამ, მერამდენე კვირაა, შუაგულ ამერიკაში?** მოკლედ, უფროსი თაობა იძულებული ვხდებით, უნებლიეთ მივუბანოთ ძე-შეცდომილებს ჩვენსას: **„არ იქნება „დიფ სთეითი? არ იქნება ხუნტრუცი!“**.

ნორჩები ადრეული ასაკიდან ყალიბდებიან საზოგადოებრივ პიროვნებებად. ამას გვასწავლის პრიმატების ზრუნვა მათ ნაშიერებზე! აი, ეს მისია იტვირთა ბატონი **ბიძინა ივანიშვილის** მამულიშვილურმა პროექტმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაარსებით, რომლის გარშემო 600 ჰექტარზეა გადაჭიმული მუხნარი, ისიც ჩვენი რევანშისტული ახალგაზრდობასავით საგრძნობლად შერყეული, მაგრამ გვეიმედება ყველას, რომ ჩვენი განუმეორებელი ქველმოქმედის ძალისხმევით, ერთსაც ეშველება და მეორესაც.

**გური ოტობაია,**
მწერალი

# დროთა განმავლობაში კიდევ არაერთი „პოლიტიკოსი“ გაქრება პოლიტიკური ველიდან



*გვესაუბრებაა პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი:*

**— ბატონო ლევან, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით მუშაობას შეუდგა. რეჟიმის დანაშაულებთან დაკავშირებით პროკურატურას ჩვენება „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრებმაც მიეცით. რისი თქმა შეგიძლიათ ამ ეტაპისთვის?**

— დიახ, საპარლამენტო დროებითი კომისია „ნაცმოძრაობის“ მიერ 2003 წლიდან დღემდე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას დაიწყებს, რასაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან, იქნებოდა ეს ადამიანის უფლებების გათელვა, ქონების წართმევა თუ სხვა. კომისიის შექმნის მიზანი სწორედ ეს არის. დარწმუნებული ვარ, რეჟიმის მიერ დაზარალებული ბევრი ადამიანი ითანამშრომლებს კიდეც გამოძიებასთან.

რაც შეეხება „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ სარჩელს, რომელიც პროკურატურაში შევიტანეთ, ძირითადად, შემდეგ საკითხებს ეხება: ქვეყნის წინააღმდეგ ჯაშუშური, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების განხორციელებას, რაც გარე აქტორების მხრიდან იგეგმებოდა, შემსრულებლები კი ჩვენი ე. წ. ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები აღმოჩნდნენ. ჩვენ გარკვეული მტკიცებულებები შევაგროვეთ, რის შესახებაც მოწმის სახით პროკურატურას ჩვენებებს ვაძლევთ იმ საკითხებზე დაყრდნობით, რაც რეალურია და რისი შეგროვებაც შევძელით. გამოძიებამ ეს ინფორმაცია მიიღო და ყოველივეს მერე საგამოძიებო ქმედებების წარმოება დაიწყება. გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარე, გამოძიებას ხელი რომ არ შევუშალოთ, კონკრეტულ დეტალებზე საუბარისგან თავს შევიკავებ.

როგორც აღვნიშნე, ამ საქმეებს ბევრი დაზარალებული ჰყავს. მათ შეუძლიათ საპარლამენტო დროებით კომისიას მიმართონ ჩვენების მისაცემად. დიახ, ფაქტები კომისიას უნდა მიაწოდონ. რაც შეეხება ჩვენს ხელთ არსებულ მასალებს, საკმაოდ ბევრი დაგროვდა. შედეგად, პროკურატურა იმ ადამიანების გამოკითხვას დაიწყებს, ვისზეც საუბარია ჩვენს მიერ მიცემულ ჩვენებებში.

**— რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მოვლენებზე რას გვეტყვით?**

— რაც შეეხება რუსთაველის გამზირზე განვითარებულ პროცესებს, ეს ხელოვნურად გამოწვეული, ვითომ, კრიზისის მცდელობებია. მათი მოთხოვნები უკვე აბსურდში გადაიზარდა. გაიძახიან, ხელახალი არჩევნები უნდა ჩატარდესო. თუმცა, ვერ ამბობენ, რის საფუძველზე.

ამ ხალხს არცერთ საგამოძიებო უწყებასთან არ უთანამშრომლია, მათ შორის, არც ქალბატონ პრეზიდენტს. ამაზე, უბრალოდ, ზეპირსიტყვიერად საუბრობდნენ, რათა ქვეყანაში არეულობის მოწყობა დაეგეგმათ. მტკიცებულებები ვერც უცხოეთში წარადგინეს. როგორც ვნახეთ, ეუთო/ოდირმა არჩევნების ლეგიტიმურობა სცნო. ასევე, ევროკავშირის ორმა სახელმწიფომ არჩევნების ჩატარება მოგვილოცა, რაც იმის დასტურია, რომ ისინი საქართველოსთან მიმართებით კეთილგანწყობილნი არიან.

რაც შეეხება ევროპარლამენტს, ოფიციალურად საქართველოში ჩატარებული არჩევნები არ უღიარებიათ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას თითქმის ყოველდღიურად მიმართავენ. ჩნდება შეკითხვა: რომელ ხელისუფლებას მიმართავენ, არალეგიტიმურს?! წარმოიდგინეთ, ჩვენს ხელისუფლებას ამა თუ იმ ქმედებისკენ მოუწოდებენ. კი მაგრამ, როგორ მოუწოდებ, ასე და ისე იმოქმედეო, თუ ის არაკანონიერად მიგაჩნია?! აი, ასეთ აბსურდში არიან.



განსაკუთრებით კომიკურ ვითარებაში აღმოჩნდნენ, რაც აშშ-ში ხელისუფლება შეიცვალა. ახალი ადმინისტრაციის დამოკიდებულება ევროკავშირისადმი მკვეთრად განსხვავებულია. ევროკავშირი ცდილობს, ბოლოჯერ გაფართხალდეს, კუდი მოიქნიოს და აქ სიტუაცია არიოს, მაგრამ არაფერი გამოსდის.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ვითარება რთულია. მაგალითად, საფრანგეთში პოლიტიკური კრიზისია, გერმანიაში მმართველი პარტია კრახს განიცდის. მეტიც, მაგალითად, თეთრი სახლის პრეს-მდივანმა კაროლინ ლივიტმა შოლცს ასე მიმართა: „ერთადერთი ადგილი, რომელსაც გერმანია იმსახურებს ამ მოლაპარაკებებში — მსჯავრდადებულთა სკამიაო“. მიუნხენის კონფერენციაზეც გამოჩნდა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის დამოკიდებულება გერმანიის კანცლერის მიმართ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ევროკავშირი, მიუხედავად ზვენზამუდარისა, რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შესახებ მოლაპარაკებებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. დიახ, აშშ-ს არ მიაჩნია, რომ ევროკავშირმა ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობა უნდა მიიღოს, ერთი უბრალო მიზეზიდან გამომდინარე — მას რუსეთთან მიმართებით ავტორიტეტი არ გააჩნია. აშშ და რუსეთი აპირებენ მოლაპარაკების ისე წარმართვას, რაც საბოლოოდ, უკრაინას მშვიდობას მოუტანს.

**— მიუნხენში ჯეი დი ვანსმა აღნიშნა: „საფრთხე, რომელიც ყველაზე მეტად მაშფოთებს ევროპასთან დაკავშირებით, ეს არ არის რუსეთი, არ არის ჩინეთი. ის რაც მაშფოთებს, არის შიდა საფრთხე — ევროპის უკანდახევა ზოგიერთი თავისი ყველაზე ფუნდამენტური ფასეულობიდან, რომლებსაც ამერიკა იზიარებსო“.**

— ეს ჯეი დი ვანსის მხრიდან მკაცრი და, ამავდროულად, სამართლიანი გამოსვლა იყო, რამაც ორი მთავარი რამ აჩვენა: ერთი ის, რომ აშშ სამართლის სადარაჯოზე იდგება და მეორე, დამოუკიდებელ ქვეყნებს, ურთიერთობის კუთხით, უფრო მეტი დამოუკიდებლობა მიეცემათ. თუკი ტრამპი იტყვის, რომ სუვერენულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა თანაბარ პირობებში წარიმართოს, რა თქმა უნდა, ეს ყველას მოეწონება.

**— თქვენ აღნიშნეთ, აშშ ვერ ხედავს ევროკავშირის ლიდერების ადგილს რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების მოლაპარაკებებშიო. რას ეყრდნობა ეს მოსაზრება?**

— ფაქტია, ამ ქმედებით აშშ ევროპას თუ ომის პროვოცირებაში არ ადანაშაულებს, მინიმუმ, ამ ომის არდასრულებაში სდებს ბრალს. რამ გამოიწვია ტრამპის ადმინისტრაციის მხრიდან ასეთი დამოკიდებულება ევროლიდერებისადმი? აქაც პასუხი მარტივია: ევრობიუროკრატები ცალი ხელით რუსეთს სანქციებს უწესებდნენ, მეორე ხელით კი მასთან არალეგალური ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული, ხოლო ომის დროს უკრაინასთან შეიარაღების მიწოდებით კიდევ რაში და როგორ ითბობდნენ ხელს, ეს ცალკე გამოძიების საკითხია. რაც მთავარია, მათ რამდენჯერმე ჩაშალეს ომის დასრულებისა და მშვიდობის დამარების მოლაპარაკებები და შესაძლებლობები, შექმნეს ყალბი ლოზუნგი, რომ რუსეთი ამ ომში მარცხდება, შესაბამისად, ომი ჯერ არ უნდა დასრულებულიყო.

მაშინ, როცა ტრამპი რუსეთთან ომის დასრულების საკითხს ააქტიურებს, ევროპის ლიდერები ცალკე იკრიბებიან და იმას განიხილავენ, თუ როგორ ბედავს აშშ მათ გარეშე უკრაინაში მშვიდობის დამყარებას. ასევე, რატომ არ ეკითხებიან, რა უნდა ზელენსკის და ადრე ხომ არ არის ომის დასრულება, როცა ჯერ კიდევ შესაძლებელია რუსეთის დამარცხება. აი, ასეთ აბსურდებზე მსჯელობენ.

ავიღოთ თუნდაც უკრაინის შეიარაღების საკითხი. ევროპა უკრაინას იარაღს აწვდიდა არა იმ პერიოდში, როცა მას სჭირდებოდა, არამედ მაშინ, როცა თვითონ მოიფიქრებდნენ, რომ იარაღის გადაცემა საჭირო იყო. ომის საქმეშიც ერეოდნენ. თავად ზელენსკი აღიარებს, რომ 170-მილიარდიანი დაფინანსებიდან მას იმის ნახევარიც არ აქვს მიღებული, რაც სჭირდებოდა. ვანსის სამართლიანი განცხადებაც ამ ყველაფერს ეფუძნება. აშშ-ის მიდგომები საფუძველს იძლევა სხვა ქვეყნებისთვის, რომ ურთიერთობები სხვაგვარად დალაგდება. კერძოდ, ქვეყნებს მეტი თავისუფლება ექნებათ, რათა წინა პლანზე თავიანთი სუვერენიტეტი თუ ეროვნული ინტერესები წამოსწიონ და არა ევროკავშირის ბიუროკრატების ინტერესები.

**— ზელენსკიმ მიუნხენში ევროპის შეიარაღებული ძალების შექმნა მოითხოვა...**

— მსოფლიოს ავანტიურისტებს და თაღლითებს შორის ერთ-ერთი მოწინავე უკრაინის მასხარა პრეზიდენტი ზელენსკია. იგი ცალი ხელით აშშ-ის პრეზიდენტს ყველაფერში ეთანხმება, ოღონდ თვითონ გადარჩეს და ასე უქნიათ, აშშ-სა და რუსეთს, უკრაინა საერთოდ ათ ნაწილად გაუყვიათ. მეორე მხრივ, ჩვეულ მაიმუნობას არ ეშვება და ევროპელებს მიუნხენის კონფერენციაზე ახალ „იდეებს“ სთავაზობს — რადგან ევროპის უსაფრთხოებაში ამერიკელების იმედი არც მე და არც თქვენ არ უნდა გქონდეთ, ამიტომ ხომ არ აჯობებდა, ევროპის შეიარაღებული ძალები შექმნათო. აქვე, დააყოლა: მტრის შეტევას მხოლოდ ფული ვერ შეაჩერებს. საქმე მხოლოდ ბიუჯეტს კი არა, არამედ ადამიანების მიერ იმის გაცნობიერებას ეხება, რომ საკუთარი სახლები უნდა დაიცვანო. ზელენსკი და მისი ხროვა როგორც იცავდნენ სახლებს, ყველამ ვნახეთ — საზარბაზნე ხორცად ვინც ვერ გასწირეს, მათ დიდი ხანია, ომის ქარ-ცეცხლს გამოასწრეს და მგონი, არც აპირებენ სამშობლოში დაბრუნებას.

რაც შეეხება ევროპის უსაფრთხოებას, ამაზე წლებია, ნატო ზრუნავს და საკმაოდ წარმატებულადაც, ოღონდ, ამ საქმეში ლომის წვლილი ისევ ამერიკელებს შეაქვთ. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, ნატო-სა და მისი ლიდერი წევრის, აშშ-ის გარეშე ევროპული უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაზე მსჯელობა, დისკუსია და ლაყაფიც დიდი ხანია, მიმდინარეობს, მაგრამ უშედეგოდ, რისი მიზეზებიც შემდეგია: პირველი ის არის, რომ არცერთ ევროპულ ქვეყანას არ უნდა, ორმაგი ხარჯი გაიღოს ცალკე ნატო-სთვის და ცალკე პირობითად, ევროკავშირის თუ ევროპული შეიარაღებული ძალებისთვის.

მეორეც, ევროპაში განლაგებული ამერიკული ბირთვული შეიარაღების გარეშე რუსეთისგან პოტენციურ საფრთხე სამმაგად იზრდება. მესამე, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ევროპელების საკმაოდ სამართლიანი კრიტიკის მიუხედავად, აშშ აპირებს ევროპაში თავისი ინტერესებისა და გავლენების შემცირებას, ძალიან ცდება. ამ ყველაფრის ფონზე მასხარა ზელენსკის ხმამაღალი განაცხადი იმის შესახებ, რომ „უკრაინის შეიარაღებული ძალების გარეშე ევროპული არმია რუსეთს ვერ შეაჩერებს“, რომელსაც თურმე, „ევროპაში თანამედროვე ომის წარმოების რეალური გამოცდილება“ ჰქონია, მისი მხრიდან კიდევ ერთი თაღლითური ავანტიურის გამოვლინებაა — ვინ იცის, იქნებ, რუსეთსა და ევროპელებს შორის ახალი საომარი დაპირისპირების მოლოდინშია, სადაც საკუთარ თავს პროვოკატორის როლში ხედავს.

ასე რომ, ერთი რამ ცხადია, რაც უნდა დაპირისპირებაში იყოს აშშ ევროპასთან, ის არავითარ შემთხვევაში თავის გავლენებზე, ინტერესებზე, იგივე ევროპის კონტინენტზე, უარს არ იტყვის. მიუნხენში ზელენსკის გამოსვლა პოპულისტური, არაფრისმომცემი იყო. ზელენსკი უკრაინისა და ევროპის ცხოვრებაში ის სამწუხარო რეალობაა, რომელმაც ერთსაც და მეორესაც დიდი ზარალი მოუტანა.

**— ტრამპმა განაცხადა, რომ უკრაინის ნატო-ში გაწევრიანება პრაქტიკულად არ მიაჩნია...**

— არამარტო ტრამპმა, არამედ ყველამ იცის, რომ უკრაინის ნატო-ში გაწევრიანება მითი იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ნატო, ნატო-ს ძახილმა შექმნა რეალობა და პუტინს საბაბი მისცა, უკრაინაში საბრძოლო მოქმედებები დაეწყო. უკრაინას ნატო-ში არავინ მიიღებს. როგორ გადანაწილდება უკრაინის ტერი-

ტორიები, ეს კიდევ მეორე საკითხია. მით უმეტეს, ითქვა, რომ უკრაინა 2014 წლის საზღვრებში დაბრუნებას ვერ შეძლებს.

**— ტრამპმა აღნიშნა, რომ ომის შეჩერება პუტინსაც სურს, მაგრამ რის ფასად მოხდება ეს?**

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოილაპარაკებენ აშშ და რუსეთი. როგორც ვახსენე, ევროკავშირი მოლაპარაკებების თვალსაზრისით არაფერს წარმოადგენს, მას ევროპაში ავტორიტეტი არ გააჩნია, არც უკრაინას აქვს ბევრი სათქმელი. რაც შეეხება პუტინს, მასაც სურს, რომ ცეცხლი შეწყდეს და საომარი მოქმედებები შეჩერდეს, რაც მას საფუძველს მისცემს, აშშ-სთან ახალი ურთიერთობები დაამყაროს. რაც შეეხება ევროპას, ბოდიში, მაგრამ დავნიძლავდეთ, რომ ქვეყნები, რომლებიც რუსეთს ომის დროს სანქციებს უწესებდნენ, მაგრამ ამავდროულად, არალეგალურად მასთან სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ, შეიძლება რიგშიც კი ჩადგნენ რუსეთთან სავაჭრო და ბიზნეს ურთიერთობების განახლებისთვის.

**— საუბრობენ, რომ ომი აპრილში დასრულდება. რა იქნება მერე — მშვიდობის უნდა გვეშინოდეს?**

— ამ საკითხს ცოტა სხვა კუთხით ვუყურებ. პირველი, უმთავრესი ეტაპი ცეცხლის შეწყვეტა და



გარანტიების მიღებაა, რომ მისი შეწყვეტიდან ორ კვირაში საომარი მოქმედებები კვლავ არ განახლდება. მეორე, უნდა მოხდეს ძალების დაშორიშორება, რათა კონფლიქტი არ განახლდეს. მესამე, თავად უკრაინაში უნდა დალაგდეს პოლიტიკური პროცესები იმისთვის, რომ არჩევნები ჩატარდეს და მეოთხე, უკრაინიდან დევნილი მოსახლეობის დაბრუნების პროცესი უნდა დაიწყოს. ცოტა ეჭვი მეპარება, დაბრუნება და იქ სახლების აშენება ბევრმა მოინდომოს. ეს მილიარდობით დაფინანსებას საჭიროებს.

**— ხელისუფლება ამერიკასთან ურთიერთობების გადატვირთვისთვის ემზადება. საქართველოს ადგილს სად ხედავთ?**

— მოდი, მოვლენებს სხვა თვალით შევხედოთ, სად, რა მდგომარეობაში ვართ. ერთი ის არის, რომ ჩვენ ხელსაყრელი სტაბილური გეოგრაფიული მდებარეობა გაგვაჩნია, რასაც ბევრი ქვეყანა ითვალისწინებს. ამის მაგალითია მეზობლების — აზერბაჯანის და სომხეთის ჩვენდამი დამოკიდებულება, რომლებიც რეალურად აღიქვამენ საქართველოს გეოგრაფიულ სტაბილურ მნიშვნელობას და ჩვენთან კეთილგანწყობლური ურთიერთობები გააჩნიათ. მეორეა დიდი მოთამაშეები — ჩინეთი, შუა აზიის სახელმწიფოები, რომლებიც საქართველოს, ასევე, დადებითი კუთხით უყურებენ. უარყოფით მოთამაშედ მოგვევლინა ევროკავშირი, რომელიც შანტაჟით შეეცადა, საქართველოში სიტუაცია აერია და მისი მონა-მორჩილი ხელისუფლება მოეყვანა.

რაც შეეხება აშშ-ს, ბაიდენმა ორი ქვეყნის ურთიერთობები ძალიან დააზარალა. ახალმა ადმინისტრაციამ კარგად იცის, ვისი მეშვეობით მოხდა ამ ურთიერთობების დაზარალება. ამიტომ ურთიერთობების გადახედვა მოხდება და ჩვენს შორის თანასწორი, თანაბარი თანამშრომლობა ჩამოყალიბდება. საქართველო ამისთვის მზადყოფნას გამოხატავს. ბურთი აშშ-ის მოედანზეა და მასზეა დამოკიდებული, თუ როდის დაიწყებს ამ პროცესების მიმართ ყურადღების მიქცევას.

**— ბატონო ლევან, სანამ აშშ-სთან ურთიერთობები დალაგდება, ვხედავთ, რომ აქციები გრძელდება და კვლავ ისმის მოწოდებები, არა რუსულ კანონს, რუსეთისკენ ვერ წაგვიყვანთო. თუმცა, ამ დროს, ხაზარაძემ განაცხადა, რუსებს უნდა ველაპარაკოთო. ეს რას ნიშნავს?**

— ეს ოპოზიციის მხრიდან კიდევ ერთი ავანტიურაა. ოპოზიციაში პოლიტიკოსები კი არა, არამედ თაღლითები არიან. ის, რომ ოპოზიცია თვეში ერთხელ საგარეო პოლიტიკურ კურსს იწუნებს, აღარავის უკვირს. ესენი ან პოპულისტი ავანტიურისტები არიან, ან თაღლითები, რომლებიც პოლიტიკისგან შორს დგანან. მათ პოლიტიკა მართლა რომ აინტერესებდეთ, არჩევნებში დამარცხების მერე პარლამენტში შევიდოდნენ და იქედან განაგრძობდნენ ჯანსაღ ოპონირებას, მაგრამ სხვა გზა აირჩიეს. ეს არის გზა, რომელიც ე. წ. ოპოზიციას საბოლოოდ დაასამარებს.

დროთა განმავლობაში, კიდევ არაერთი „პოლიტიკოსი" გაქრება ამ ველიდან. ხომ ხედავთ, რა დღეში არიან, ბრიუსელის ცარიელ დარბაზში დგანან და პოპულისტურ წინადადებებს აფრქვევენ, ღიად ღალატობენ ქვეყანას და თან ეს ეამაყებათ. ამით საბოლოოდ, ისევ თვითონ დაზარალდებიან. საქართველოს ისტორიას ღალატი არ უკვირს. ახლა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ბუმია და ღალატი თვალნათლივ გამოიკვეთა.

**თამარ შველიძე**

# რწმენა უნდა მაგას...



შესანიშნავმა არქიტექტორმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ, ბატონმა ვახტანგ დავითაიამ გამოიჩინა შესაშური ინიციატივა უკვდავი მწერლის, ჭაბუა ამირეჯიბის ხსოვნის უკვდავსაყოფად. კოლხეთის გულში - სენაკში, თვალსაჩინო სამ ადგილას გააკრეს ბარელიეფი წარწერით: "გმადლობ ჭაბუა".

ჭეშმარიტებაა, რომ საქართველო სამ დედაბოძზე დგას: "ბიბლია", "ვეფხისტყაოსანი" და "ქართლის ცხოვრება". სამივე წიგნია:

პირველი - ქართველი ერის სულიერი საყრდენი და საზრდოა;

მეორე - მეგობრობისა და სიყვარულის სიმბოლო;

მესამე - ქვეყნის წარსულის მემატიანე, წინაპართა ბრძოლისა და შრომის ეპოპეა.

რა იქნებოდა ჩვენი პატარა და უკვდავი სამშობლო ამ სამი ფენომენის გარეშე? ეს სამი წიგნი ერთ მაგიდაზე თანმიმდევრობით მიდევს, როგორც ძღვენი, როგორც განუმეორებელი განძი, და ხშირად თვალებით ვეფერები...

ვეფერები ჩვენს საგანძურს...

წიგნია ჭაბუა ამირეჯიბის "დათა თუთაშხიაც" - საუკუნის წიგნი, რომლის მთავარი ღერძია ადამიანი მეგრული ჟინით, ტრადიციებისა და სამართლიანობისთვის მებრძოლი, მტკიცე მორალითა და ადამიანური ფასეულობებით მდიდარი, რაც ერის კულტურულ ფენომენს წარმოადგენს.

მწერალი უკვდავია თავის ქმნილებებთან ერთად. ჭაბუა მრავალსაუკუნოვან ქართველ მწერალთა კაშკაშა სხივია, რომელსაც უფალმა უბოძა ნიჭიერება, ფანტაზია და შემოქმედებითი უნარი, ყოფილიყო გამორჩეულთა შორის.

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ავტორმა ნაწარმოების მთავარ გმირად მეგრელი "აბრაგი" დათა, სიმბოლური გვარით - თუთაშხია აირჩია. ამ რომანით მწერალმა ძეგლი დაუდგა კოლხურ ფენომენს მეგრელი კაცის სახით და სხვა განზომილებით დაგვანახვა სამეგრელოს გამორჩეულობა და მშვენიერება.

ხმამაღლა აღაღადა ჭეშმარიტება - როგორც ზოგადსაკაცობრიო, ისე ზოგადქართული.

სხვა რომ არაფერი დაეწერა ჭაბუას, ეს ნაწარმოები საკმარისი იქნებოდა მის უკვდავსაყოფად. მან სიცოცხლეშივე დაიდგა მარადისობის გვირგვინი.

ჭაბუა თავად იყო დათა თუთაშხიასავით - სხვათა მორჩილებისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი. დატყვევებული რამდენჯერმე გაიქცა სატუსაღოდან და ნათელყო, რომ ბრძოლას, შემართებას, სიცოცხლისადმი სწრაფვას მუდამ აქვს აზრი.

დათა თუთაშხია ერთგან ამბობს: "სწავლით გასწავლიან იქნებ, მაგრამ რწმენა უნდა მაგას და ვერ გასწავლიან რწმენას ვერსად."

დიახ, გარემო აწვდის ადამიანს ღირებულებათა კომპლექსს, რითაც ის ამაღლებული და მდიდარია.

კინოფილმის "დათა თუთაშხიას" გადაღების შემდეგ, საქართველოში სენაკი იყო პირველი რაიონი, რომელმაც უმასპინძლა წიგნის ავტორსა და ფილმის შემოქმედებით კოლექტივს. ცხადად მახსოვს ის ლამაზი, ადგილობრივთა გაცისკროვნებული თვალებით გამთბარი დღე, მადლიერების გამოხატვისა და შესანიშნავი ქმნილებების (წიგნისა და ფილმის) სახალხო შეფასების წამები.

ამ ფრიად საინტერესო მოვლენიდან წლების გასვლის შემდეგ სრულებით არ გამკვირვებია, რომ სენაკში დაბადებულმა და აღზრდილმა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, საზოგადო მოღვაწემ, არქიტექტორმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ, ბატონმა ვახტანგ დავითაიამ გამანდო იდეა ჭაბუა ამირეჯიბის ბარელიეფის შექმნის შესახებ, რომელსაც ექნებოდა წარწერა: "გმადლობ ჭაბუა".

თავიდან მეგონა, ქალაქის ქუჩების სხვადასხვა მონაკვეთში სურდა ქვაფენილზე მისი დატანა,



მაგრამ როცა გავიგე, რომ კედლებზე გაკვრა ჰქონდა ჩაფიქრებული ჭაბუასადმი სამეგრელოს საზოგადოების მადლიერების გამოხატვის მიზნით, მხარი დაუჭირე. ერთად ვეახლეთ მაშინდელ სენაკის ხელისუფლებას და მივიღეთ მათი დადებითი პასუხი თანადგომისა.

იდეას ფრთები მალე შეესხა. სენაკის სამ გამორჩეულ ადგილას, საზოგადოების თანდასწრებით განთავსდა ბარელიეფი.

მადლობა ამისთვის ბატონ ვახტანგ დავითაიას, რომელიც მუდამ გამოირჩევა ორიგინალურობით, საოცარი ქველმოქმედებითა და ინიციატივით.

წლები გადის. ჭაბუა ამირეჯიბის წიგნი და მისი სიუჟეტით გადაღებული ფილმი არ კარგავს აქტუალობას. ხალხმა ზეპირად იცის "დათა თუთაშხიას" გამონათქვამები.

დარწმუნებული ვიყავი, ბატონი ვახტანგ დავითაიას ინიციატივას მიბაძავდნენ სამეგრელოს სხვა რაიონების წარმომადგენლებიც და მადლიერების დაფებით "გმადლობთ, ჭაბუა" დაამშვენებდნენ კოპწია ქალაქებსა და დაბებს.

ასე ფიქრობდა ბატონი ვახტანგიც. ამის საილუსტრაციოდ მოვიტან 2016 წელს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული წერილის ამონარიდს, სადაც გაშუქებული იყო ჭაბუას ბარელიეფის განთავსება სენაკის ღირსშესანიშნავ ადგილებში:

"დიდი სურვილი მქონდა, რაღაც ფორმით გამომეხატა ჩემი წილი სიყვარული გმირისა და მწერლის მიმართ. პატივის მიგების ფორმა ერთი შეხედვით მარტივია - ქალაქის ცენტრში შენობებზე "ექსპონირებულია" მცირე ზომის გრანიტის ფილები ლაკონური წარწერით: "გმადლობ ჭაბუა". ესაა და ეს, მაგრამ სიმარტივე მრავალ კითხვასა და ფიქრს ბადებს. ისინი ხალხის, ქალაქის მადლიერების გამოხატულებაა. ამაყი ვარ იმით, რომ ჩემი სენაკელები იოლად ჩაწვდნენ, მიიღეს და გაითავისეს ეს იდეა."

მაგრამ "სხვებმა" იდეის არსი ვერ გაითავისეს?

როგორც დათა ამბობს: "რწმენა უნდა მაგას."

მადლიერების გამოხატვა არასდროს არის გვიან.

**ბორის დავითაია**
**სენაკის საპატიო მოქალაქე**
**სამეგრელოს, უხუცესთა საბჭოს გამგეობის წევრი**

# მე ეგ გოგო ჩემთვის მინდა!..

7 გვ.

არ დაედება“. ვნახოთ, რამდენად მნიშვნელოვანია აშშ-ისთვის პანამის არხი, ხელს ჩაიქნევს, იყიდის თუ იჩუქებს...

**უკრაინას** რა ბედი ელის, არსთა გამრიგეს გარდა თუ ვინმემ იცის, ვერ წარმომიდგენია. ომამდე რუსეთის მოთხოვნა იყო დონბასის სტატუსი და დემილიტარიზაცია, რათა იმის ბერკეტი ჰქონოდა, რომ უკრაინაში არ შესულიყო ნატო, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ მეორე



მხარეს სხვა განზრახვა ჰქონდა. ამ ეტაპზე ტრამპმა მხოლოდ უიშვიათესი ნედლეული მოითხოვა „გირაოს სახით“, იმის გარანტიად, რომ ის ფული არ დაეკარგება, რაც აშშ-მა უკრაინის ომისთვის გაიღო. მერე რა იქნება, გამოჩნდება. მე გუნებაში ვიღიმი, — ამჯერად ტრამპზე.

**ევროკავშირი** არ მინდაო! — ძლივს რაღაც არ უნდა აშშ-ს. ევა ვლაარდინგერბროკი: „თუ ტრამპი ევროკავშირს ტარიფებს დაუწესებს, ეს ევროკავშირს ჩამოშლის! დაბრუნდება ორმხრივი შეთანხმებების დრო და ის ერთადერთი ცრუ მიმზიდველობაც დაიკარგება, თითქოს ევროკავშირის წევრობა ეკონომიკურად სარგებლიანია.“ თურმე სიმართლეს ვამბობდი — წლები გავიდა, რაც ვიხვეწებოდი, ეტყობა, მე არ მესმის, ამიტომ, ამიხსენით, რა სარგებელი მოაქვს ევროკავშირს-მეთქი და ხმა არავინ გამცა. ახლა საინტერესოა, დაშლილ თუ დაუშლელ ევროკავშირში მაინც გვენდომება და მხარსაც დავუჭერთ აშშ-ის წინააღმდეგ?

**ინგლისი!** — უცბად საიდანღაც „აღმოცენდება“ ისეთი პრემიერი, რომელიც მთლად ტრამპის ჭკუაზე იქნება აწყობილი და ანგლოსაქსური გაუგებრობაც დამთავრდება.

აღზევებულმა კლოუნმა დაიჩივლა, დასავლეთის დაპირებები უკრაინის ნატო-ში მიღებასთან დაკავშირებით, ტყუილი აღმოჩნდაო. უკრაინა იქით იყოს და, სერიოზულად მაინტერესებს, ვინც საქართველოში ნატო-სკენ ისწრაფვოდა და ახლა ევროკავშირისკენ ისწრაფვის, მართლა სჯერათ, რომ მიისწრაფვიან და წინ თუ დაჯდებიან, უფრო მალე „ჩავლენ“ რომელიმეში? ეს დედააფეთქებული, ახლა მაინც ამოიღონ კონსტიტუციიდან ის სამარცხვინოდ სასაცილო ჩანაწერი!

ასევე, მაინტერესებს, რამდენი ადამიანი ხვდებოდა და ხვდება, რომ საქართველოს „დიდ დასავლურ ოჯახებში“ გაწევრიანებაზე იმედები მხოლოდ შიდა პროცესებზე ზემოქმედებისთვის წამოწყებული ფსიქოლოგიური ოპერაციების პროექტებია.

მაინტერესებს, ვის რა მდგომარეობაში აქვს ყიფლიბანდი, ახლა მაინც თუ ხვდებიან რატომ წამოიწყეს ეს თამაში საქართველოსთან და რატომ დაატაკეს მეზობელ რუსეთს, რაში სჭირდებოდათ საქართველს მოტყუება, რატომ ჩადეს ამხელა ფული საქართველოს გამყიდველებში. დიდი ეჭვი მაქვს, რომ — არა! ზოგი ვერ მიხვდა, ზოგი — არ ხვდება...

იტყვი რამეს და სწყინთ. იმას თუ ვერ ხედავ, რაც ხელისგულზე გიდევს, ან იდიოტი ხარ, ან — საკუთარი სამშობლოს მტერი!

უფასო ყველი სათაგურშიც კი არ დევს, შენ რომელი ქვეყანა დაგაყრის თავზე მილიონებს, თუ საკუთარი ნაციონალური ინტერესები არ ამოძრავებს.

საქართველო ბუნებრივად მდებარეობს ისეთ საკვანძო ადგილზე, რომ უამრავი სტრატეგიული ამოცანის გადასაჭრელად არის სახარბიელო. ეს რომ სადღაც ვთქვი, იმ წამში მომვარდა ვიღაც გაკაპასებული ქალი, თუ მასეა, ბარემ მიგვიღონ, აბა, რატომღა გვთხოვენ რაღაც პირობების შესრულებასო და თვითონვე დამისკვნა, იმიტომ, რომ ჯერ ევროპულ დონემდე მისვლას ბევრი გვიკლია, ჯერ არ ვართ ღირსებიო.

ამ კატეგორიის ადამიანებთან უძლური ვარ სწორედ იმიტომ, რომ ჯერ არ არიან „იმ დონის“. ამ კატეგორიას უმარტივესი ენითაც ვერ გააგებინებ, რომ კონკრეტულ ორგანიზაციებში საქართველოს არ და ვერ მიიღებენ გეოგრაფიული, სამხედრო და პოლიტიკური მიზეზების გამო. დასავლეთის გავლენა საქართველოზე ემყარება გამოქლიავებული ქართველების მათდამი რწმენას, თორემ კონკრეტული ხელჩასაჭიდი არაფერი აქვთ. დაპირებებისა და დათქმების გარდა, კოლექტიური დასავლეთისგან რა სარგებელი უნახავთ?

ტრამპი ასეთ ტიპად მოგვევლინა, ღიად ამბობს, რა უნდა და გაიგო ყველამ, მაგრამ, ზოგადად, რუსი, ამ შემთხვევაში, პუტინი, სხვა ნატურაა, პწკარებსშუა ამბობს, რა უნდა და რას გააკეთებს, თუ მისი სურვილი არ ასრულდა.

სხვას არ შევეხები, საქართველოზე ვიტყვი: საქართველოში მყოფმა უსამშობლო ტვინგაცხელებულებულებმაც კი იციან, რომ საქართველოს შესვლა კი არა, მიახლოებაც კი ნატო-სთან, რუსეთ--საქართველოს ომს გამოიწვევს, რაც დამანგრეველი იქნება საქართველოსთვის, ხოლო მასში გაწევრიანება ისეთ ფართომასშტაბიან ომს გამოიწვევს, როგორიც ნატო-ს არცერთ წევრ ქვეყანას არ უნდა. უბედურ ევროპას, საერთოდ, როგორც მოვლენა, ომი არ უნდა. არც უკრაინის ომში უნდოდა გარევა, მაგრამ ვასალს ვინ ეკითხება, უბრძანა აშშ-მა და ჩაება კიდეც. სამხედრო ხელოვნების მცოდნეები ყველა ქვეყანაში არიან და, შესაბამისად, ყველამ კარგად იცის, რომ სამხრეთ კავკასიაში, გეოგრაფიული მდებარეობისა და გამარტივებული ლოჯისტიკის გამო, რუსეთს არნახული სამხედრო უპირატესობა აქვს.

მოკლედ, ჩვენი ამბავი ისეა, ტეტია ეჭვიან ბიჭს თავადის ანჩხლი ასული რომ გარდარეული სიყვარულით უყვარს, იმდენად, რომ მოკრძალებისგან ვერც ეძალადება და მხოლოდ გულში მღერის „მე ეგ გოგო ჩემთვის მინდაო“, გოგო კი სხვა ბიჭებს უჟუჟუნებს თვალებს. ფაქტობრივად, ალექსანდრე ყაზბეგის „ელეონორა“ ვართ... საქართველოში სხვა ქვეყნიდან რომ შემოვდივარ, განსაკუთრებით მაშინ შევიგრძნობ ძალუმად, რომ საქართველო მართლა პატარძალივით ლამაზია...

ღმერთო, ამ კოლექტიურ ილუზიას როდის მოეღება ბოლო?!

დიდი ქვეყნები თავიანთი იმპერიების გაფართოებაზე ფიქრობენ, ჩვენ კი საკუთარი პატარა სამოთხე ვერ დაგვილაგებია...

„ქართულმა ოცნებამ“ რომ კანონების გამკაცრება დააანონსა, ამჯერად მათ განხილვას არ ვაპირებ, მხოლოდ რუქას როლი უნდა შევითავსო და არაკად ვთქვა, რისი თქმაც მინდა — მთლიანობაში კი არსი ის არის, რომ სხვების შეცდომებზე უნდა ისწავლონ ხელისუფლებებმა და სხვისი კარგი „ილეთებიც“ გადმოიღონ...

არაკად ვამბობ: რეჯებ ტაიპ ერდოღანი დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობს თურქეთში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, მაგრამ ზედიზედ სამჯერ აირჩიეს პრეზიდენტად — არ აქვს მნიშვნელობა, მცირე უპირატესობით, თუ მეორე ტურით.

პოლარიზაცია თურქეთში რომ არის, ისეთი უნდა, მაგრამ, როდესაც ერდოღანმა გაიმარჯვა, 25 მლნ მისი მოწინააღმდეგე თურქი ამომრჩეველი ქუჩაში არ გამოვარდნილა, — ჩვენ კი ეს რა დღეში ვართ, ხან ათა თურქს ვნატრობ და ხან თურქების მსგავს შეგნებულ და სამშობლოს მოყვარულ ოპოზიციას...

ერდოღანის ერთ-ერთი საპრეზიდენტო ვადის დროს თურქეთს რუსეთთან სირიის გამო ურთიერთობა რომ დაეძაბა, თურქეთმა უკან დაიხია, ერდოღანი მოსკოვში ჩავიდა და თვითმფრინავის ჩამოგდების გამო პუტინს ბოდიში მოუხადა.

ნატო-ს წევრი თურქეთის მოსკოვში სიარული აშშ-ს რატომ მოეწონებოდა, ერდოღანი არასანდოდ მიიჩნია და მისი დამხობაც გადაწყდა. 80-მდე ქვეყნის ლეგიტიმური ხელისუფლებები ჰქონია აშშ-ს დამხობილი, ახლახან გაასაჯაროვა ეს ინფორმაცია რობერტ კენედი უმცროსმა და თურქეთში არ დაამხობდა? ამუშავდა აშშ-ის შესაბამისი საქმეების მანქანა და სამხედროების, უშიშროების და პოლიციის ნაწილი ერდოღანის წინააღმდეგ შეთქმულებაში ჩაერთნენ.

რატომ ვერ დაამხეს? — იმიტომ, რომ დაგეგმილ სამხედრო გადატრიალებაზე ინფორმაცია რუსეთის დაზვერვამ მოიპოვა და სასწრაფოდ აცნობა ერდოღანს. პუტინმა 50 სპეცრაზმელი გაგზავნა ტურისტად იმ სასტუმროში, სადაც ერდოღანი იმყოფებოდა. როცა ამბოხებულები სასტუმროში შეიჭრნენ, დაცვამ წინააღმდეგობა არ გაუწია, მაგრამ მეორე სართულის კიბეებიდან შორტიანმა „ტურისტებმა“ რომ ავტომატების ჯერი მიუშვეს, ისეთი მოულოდნელი შოკი იყო, რომ მთლად აერიათ „რამსები“. ერდოღანი დაცვამ და რუსულმა სპეცრაზმმა გადაიყვანეს უსაფრთხო ადგილზე, მაგრამ მთავარი ფაქტორი ის არის, რომ ერდოღანის მოწინააღმდეგე ხალხიც ქუჩაში გამოვიდა გადატრიალების წინააღმდეგ, მომხრეებიც, „შუაშისტებიც“ და „არავისტებიც“. არ დაუშვა თურქმა ხალხმა სამოქალაქო ომი, რაც დაშლიდა თურქეთს. როდის ექნება ეს შეგნება ქართველ უსამშობლოებს-მეთქი, — მინდოდა მეკითხა,



მაგრამ გავჩუმდი, უსამშობლოს ეს შეგნება არასდროს ექნება...

თურქეთში იგივე მდგომარეობაა, როგორიც საქართველოში და როგორიც ყველგან, სადაც აშშ-მა ფეხი მოიკიდა; გარდა ამისა, თურქეთს ქურთების სახით დიდი პრობლემაც აქვთ, მაგრამ თურქი ხალხია საკუთარი ქვეყნის მოყვარული. უძახე მომთაბარე ტომებისგან შექმნილი ქვეყანა, ფაქტია, რომ სახელმწიფო შექმნეს და მნიშვნელოვანი ძალაც აქვთ.

ერდოღანმა ათი ქვეყნის ელჩის (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, კანადა, დანია, შვედეთი, ფინეთი, ნორვეგია, ახალი ზელანდია) გაძევების ბრძანება გასცა, მათ განცხადებას „თავხედობა“ უწოდა და ელჩებისთვის სტატუსი პერსონა ნონ გრატას შეფარდება დაურთო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებული კავალის გამო. რამდენი ადამიანი, მათ შორის სამხედრო პირი დაიჭირეს, რამდენს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა და რამდენი თან გადაჰყვა, ეს ცალკე საკითხია, ჩვენ კი რამდენიმე უსამშობლოსთვის ვერ მიგვიხედავს და ელჩები ვერ მიგვიკრავს საკუთარ სკამებზე, გაძევებას ვინღა ჩივის...

თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო არც უტოპიაა და არც ის ბლეფი, რაც რაღაც ევროპულ ორგანიზაციებში გაწევრიანება. საქართველოს ყველანაირი პოტენციალი აქვს, რომ ყველასთვის მიმზიდველი ყველას ემეგობროს, თვითმყოფადი და თვითკმარი ქვეყანა იყოს, მაგრამ ეს რომ განხორციელდეს, უპირველესად, იმ კომპლექსებისგან უნდა გათავისუფლდეს, რასაც სამ ათეულ წელზე მეტია, თავს ახვევენ და გასული საუკუნის მიწურულში და შემდგომ დაბადებულებისთვის, უკვე თავის ქალაზე გადაკრულ აქლემის ტყავადაც იქცა.

საქართველომ, უპირველესად, განათლების სისტემასა და პიროვნების სულიერ აღზრდაზე უნდა გააკეთოს აქცენტი, — სკოლებში სწავლა-განათლება და, ზოგადად, საზოგადოებაში უფროს-უმცროსობა უნდა დააბრუნოს; ქალი რომ ქალია, კაცი — კაცი, როგორც მოქალაქე, ორივე თანასწორი, მაგრამ ერთი სუსტი და მეორე — ძლიერი, როგორც ჩანს, ახლიდან ასახსნელია იმ რამდენიმე თაობისთვის, რომელთაც აზროვნება გამიზნულად გაუმრუდეს.

როდესაც საქართველოში სერიოზული დაძაბულობა იქმნება, ე. წ. დასავლური ქვეყნების გარდა, ყველას ყურადღება საქართველოსკენ არის მოქცეული და იმ პოზიციას გულშემატკივრობენ, რასაც გზაკვალარეულები „რუსულს“ არქმევენ, რეალურად კი წმინდა ქართულია. „ბრავო, საქართველო!“ — ამ შეძახილს არაფერი მირჩევნია...

საქართველოს ნამდვილ კეთილისმსურველებს ის საქართველო უყვართ და იმ საქართველოს და ქართველებს სცემენ პატივს, რომლებიც საქართველოს წარმოადგენენ და არა ის ამოტივტივებული სიბინძურე, რაც თავზე მოიგდო პატარა, მაგრამ არსით უკიდეგანო საქართველომ!..

**მაია ჭელიძე**




# ტრამპმა სამ დღეში დააკნინა ევროპა

განვლილი კვირა მსოფლიოში პოლიტიკური მოვლენებით დახუნძლული აღმოჩნდა. განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწყებული ცვლილებები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, საერთაშორისო არენაზე. აშკარაა, რომ მსოფლიოში პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად იცვლება.

დიდი ინტერესით ელოდებოდა საერთაშორისო საზოგადოება უკრაინის კონფლიქტის მხარდამჭერი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეკრებას, რომელიც გერმანიაში უნდა გამართულიყო და რომელსაც აშშ აღარ უხელმძღვანელებდა. თუმცა, პენტაგონის ახალი შეფის პიტ ჰეგსეტის გამოსვლამ დამსწრე საზოგადოება საგონებელში ჩააგდო. „უკრაინა-რუსეთის კონფლიქტში კრიტიკული მომენტი დადგა. ფაქტობრივად, ომის დაწყებიდან უკვე სამი წელი გავიდა. ჩვენი გზავნილი მკაფიოა: სისხლისღვრა უნდა შეწყდეს და ომი დასრულდეს“, — განაცხადა ჰეგსეტმა.

მისივე თქმით, ვაშინგტონში არარეალურად მიაჩნიათ, რომ უკრაინა შეძლებს 2014 წლამდე არსებული საზღვრების დაბრუნებას და ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას. „აშშ უკრაინაში ჯარებს არ გააგზავნის“, — კატეგორიულად განაცხადა ჰეგსეტმა. მისივე თქმით, ევროპის უსაფრთხოება პრიორიტეტი უნდა გახდეს ნატო-ს წევრი ქვეყნებისთვის, რომლებმაც უნდა შეძლონ საკუთარი თავდაცვის სისტემის უზრუნველყოფა. ამის გარდა, განაცხადა, რომ სამომავლოდ უკრაინისთვის სამხედრო თუ არასამხედრო დახმარება ევროპულმა ქვეყნებმა უნდა განახორციელონ.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის გამოსვლამ გააოგნა და დააბნია შეხვედრის მონაწილეები.

უანგაროდ რომ აღარავის დაეხმარება აშშ, ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ადრე არაერთხელ განაცხადა. თუმცა, არავინ მოელოდა, თუ ასე მალე და მკვეთრად შეასრულებდა დანაპირებს. შეიარაღების მიწოდებაზე ამერიკული მხარე წინააღმდეგი არ არის, მაგრამ თანხა ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა უნდა გაიღონ. გამოცემა „ფაინენშლ თაიმსის“ ინფორმაციით, ჰეგსეტის გამოსვლით კიევში შეშფოთებულები და უკმაყოფილოები დარჩნენ. იქაური ჩინოვნიკების განცხადებით, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მუშაობას ახლა ევროპულ მხარდამჭერ ქვეყნებთან განაგრძობენ.

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა აშშ-ის კონგრესის საბიუჯეტო პალატამ, სადაც ნათქვამია, რომ ქვეყანა სახელმწიფო ვალის კრიზისს უახლოვდება, რაც საფრთხეს უქმნის გრძელვადიან სტაბილურობას.

რეზოლუციაში, ასევე, ნათქვამია, რომ 2019 წლის შემდეგ სახელმწიფო ხარჯები 59%-ით გაიზარდა. აშშ-ის შიდა ვალმა, დღევანდელი მონაცემებით, უკვე 36 ტრილიონს გადააჭარბა. თუ ქმედითი ღონისძიები არ გატარდა, 2025 წელს, შესაძლოა, ვალი 1,9 ტრილიონით გაიზარდოს.

ჯერ კიდევ ორი კვირის წინ იუწყებოდა „ვაშინგტონ პოსტი“ დონალდ ტრამპის სიტყვებზე დაყრდნობით, აშშ-რუსეთის პრეზიდენტის სატელეფონო საუბარზე, მაგრამ დეტალებზე არაფერი იყო ნათქვამი. დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში შესვლამდე არაერთხელ გამოთქვა სურვილი რუს კოლეგასთან დიალოგის თაობაზე, რისთვისაც შესაფერის დროს ელოდებოდა.

გასულ კვირას აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ჟურნალისტებთან შესახვედრად გავიდა და პირადად აცნობა, რომ სატელეფონო საუბარი ჰქონდა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან. ტრამპის განცხადებით, პუტინთან ხანგრძლივი (1,5 სთ), ნაყოფიერი საუბარი ჰქონდა. „შევთანხმდით, რომ თავდაპირველად გვინდა შევაჩეროთ მილიონობით ადამიანის სიკვდილი“, — განაცხადა ტრამპმა.

მისივე თქმით, უკრაინის კონფლიქტის გარდა, განიხილეს ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარება, ენერგეტიკული და ეკონომიკური, სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ტრამპის განცხადებით, პუტინთან ნაყოფიერი საუბარი სარგებელს ორივე ქვეყანას მოუტანს, რაც უახლოეს მომავალში გამოჩნდება. მისივე თქმით, კონფლიქტები მომავალშიც გაგრძელდება, მოსალოდნელია, ასევე, ორი პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრაც.

მიმდინარე მოვლენების განხილვის გარდა, პრეზიდენტებმა წარსულიც გაიხსენეს. „ჩვენ ვისაუბრეთ ისტორიაზეც. გავიხსენეთ, ერთად როგორ ვიბრძოდით მეორე მსოფლიო ომში, სადაც რუსეთმა ათეულობით მილიონი ადამიანი დაკარგა. ჩვენც მნიშვნელოვანი დანაკარგები განვიცადეთ“, — თქვა დონალდ ტრამპმა.

საუბრის შედეგად შეთანხმდნენ, რომ ორივე მხარე შექმნის სამუშაო ჯგუფს, რომლებიც სამომავლო კონტაქტებს განაგრძობენ, მათ შორის, იმუშავებენ ორი პრეზიდენტის შეხვედრის ორგანიზებაზე.

დონალდ ტრამპის განცხადებით, მან უკვე დაავალა სახელმწიფო მდივანს მარკო რუბიოს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორს ჯონ რედკლიფს, მრჩეველს უსაფრთხოების საკითხებში მაიკლ უოლტცსა და რუსეთ-უკრაინის საკითხებში სპეცწარმომადგენელს სტივ უიტკოფს, სათავეში ჩაუდგნენ ორმხრივი მოლაპარაკების პროცესებს. „ჩვენ შევთანხმდით, ვიმუშაოთ ერთმანეთთან მჭიდროდ, ერთმანეთთან სტუმრობის ჩათვლით“.

პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ თავდაპირველად შეხვედრები საუდის არაბეთში გაიმართება, სადაც უკვე ჩავიდა მარკო რუბიო. რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებებში ჩაერთვებიან საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და პრეზიდენტის თანაშემწე იური უშაკოვი. ამასთან გაურკვეველია, მიიწვევენ თუ არა მაგიდასთან უკრაინის წარმომადგენლებს.

გადაჭრით მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება, ევროპელები მოლაპარაკებებს არ დაესწრებიან, რადგან ისინი არავის დაუპატიჟებია. აქვე გახდა ცნობილი, რომ ორივე ქვეყნის სამუშაო ჯგუფები განიხილავენ, ასევე, ტრამპი-პუტინის პირისპირ შეხვედრის დღის წესრიგსა და პირობებს. როგორც ამ დღეებში გახდა ცნობილი, ორი პრეზიდენტის შეხვედრა, შესაძლოა, ამ თვის ბოლომდე შედგეს, ვიდრე მუსულმანურ სამყაროში რამადანის აღნიშვნა დაიწყება. პრეზიდენტების საუბრის შემდეგ ორივე ქვეყნის პირველი დიპლომატები — მარკო რუბიო და სერგეი ლავროვი ასევე, ტელეფონით ესაუბრნენ ერთმანეთს.

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია, რომელიც ნახევარ საუკუნეს ითვლის, პოლიტიკური თვალსაზრისით ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. წლევანდელ კონფერენციაზე აშშ-ის დელეგაციას ვიცე-პრეზიდენტი ჯეი დი ვენსი ხელმძღვანელობდა. ტრადიციულად, ვენსის გამოსვლას ყველა მოუთმენლად ელოდებოდა. თუმცა, ვენსის სიტყვამ „ცივი წყალი გადაასხა“ „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტის მოკავშირე ქვეყნებს. ვიცე-პრეზიდენტმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ევროკავშირის ჩინოვნიკები. მისი თქმით, ევროპაში დაიკარგა სიტყვის თავისუფლება, ცალკეული თანამდებობის პირები აშკარად ერევიან სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში. მაგალითისთვის შარშან რუმინეთში გამართული საპრეზიდენტო არჩევნები დაასახელა, რომლის შედეგებიც მავანთა ბრძანებით გააუქმეს. ვენსისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ასევე, რელიგიური თვალსაზრისით დევნა და განსხვავებული აზრის მიუღებლობა.

„...ევროპისთვის საფრთხეს არც ჩინეთი და არც რუსეთი არ წარმოადგენს. საფრთხე თქვენი, ევროპის ქვეყნების შიგნით არის“, — განაცხადა ჯეი დი ვენსმა. მისი გამოსვლისას დარბაზში დუმილმა დაისადგურა, დამსწრეებს სახეზე გაოცება აშკარად ეტყობოდათ. დონალდ ტრამპის განცხადებით, „ვენსის გამოსვლა საუკეთესო იყო“. ფაქტობრივად, ჯეი დი ვენსმა, თავდაცვის მინისტრის მსგავსად, ევროპელებს პირდაპირ უთხრა, რომ საკუთარ უსაფრთხოებაზე თავად უნდა იზრუნონ. პოლიტოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ ვენსმა ევროპელებს დემოკრატიასა და სიტყვის თავისუფლებაზე „ღია გაკვეთილი“ ჩაუტარა.

საინტერესოა, რომ ჯეი დი ვენსმა მასპინძელთან, ჯერ კიდევ მოქმედ კანცლერთან შეხვედრა არ ისურვა. კვირის ბოლოს გერმანიაში ვადამდელი არჩევნები გაიმართება. ოლაფ შოლცი იმედოვნებს, რომ ხმების უმრავლესობას მიიღებს, მაგრამ გამოკითხვების თანახმად, შოლცის პარტიამ, შესაძლოა, მე-3-მე-4 ადგილი აიღოს. აქედან გამომდინარე, გამორიცხულია, შოლცმა თანამდებობა შეინარჩუნოს. ამიტომაც არ შეხვდა ვენსი მას. სამაგიეროდ, ესაუბრა „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ლიდერს ალისა ვაიდელს, რითიც მიანიშნა, რომ აშშ-ის ადმინისტრაციას სწორედ ეს პარტია ესიმპათიურება, რომლის აკრძალვასაც ითხოვს შოლცი.

ევროპის ქვეყნების მეთაურები შეშფოთებულები არიან, რომ საუდის არაბეთში მათ გარეშე გაიმართება აშშ-რუსეთის დელეგაციების შეხვედრა უკრაინის საკითხთან დაკავშირებით.

მართალია, აცხადებენ, შეთანხმება არალეგიტიმური იქნებაო, მაგრამ ტრამპს მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებენ, თუმცა, მცდელობას არ აკლებენ, განაგრძონ უკრაინისთვის დახმარება. ამიტომაც, სასწრაფოდ მიიწვია პარიზში საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების მეთაურები საგანგებო სხდომაზე, რათა განიხილონ, როგორ შეაიარაღონ უკრაინა დამოუკიდებლად.

„ასოშეისედ პრესის“ ინფორმაციით, ევროპის რამდენიმე ქვეყანა საიდუმლოდ მსჯელობენ, როგორ გააგზავნონ უკრაინაში საკუთარი ჯარები. განსაკუთრებული გულმოდგინებით საფრანგეთი და ბრიტანეთი გამოირჩევიან. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა კირ სტარმერმა გასულ კვირას ღიად განაცხადა, რომ გააგზავნის ჯარებს უკრაინაში. აქედან გამომდინარე, მარტივია დასკვნის გაკეთება, რომ უკრაინაში საომარი ვითარების შეჩერება და მშვიდობის დამყარება ბევრს არ უნდა. სწორედ მათ წინააღმდეგაც მოუწევს ტრამპსა ბრძოლა.

ინტერნეტპორტალმა „აქსიომამ“ გასულ კვირას თავის გვერდზე დაწერა, რომ „დონალდ ტრამპმა სამ დღეში დააკნინა ევროპა, დაახრჩო, დაამცირა“. წერილის ავტორს მხედველობაში ჰქონდა აშშ-რუსეთის პირდაპირი მოლაპარაკება, ჯეი დი ვენსისა და პიტ ჰეგსეტის განცხადებებიო.

რა შედეგით დასრულდება საუდის არაბეთში მოლაპარაკება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოსთვის, უახლოეს დღეებში გავიგებთ. იმედი ვიქონიოთ, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს.




**გია ბურდული**

# ქართველების გამრავლების საქმეში „მენეჯერი“ უძლურია...

**„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს დემოგრაფიული საკითხები. ჩვენ ისედაც პატარა ერი ვართ და არაერთი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ იზრუნოს ოჯახების გაძლიერებაზე, იმ პირობების უზრუნველყოფაზე, რომელსაც პოზიტიური ეფექტი ექნება დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. მიმაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ჩვენი მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, გვჭირდება საფუძვლიანი კვლევა და შესაბამისი სტრატეგიის განსაზღვრა უწყებათაშორისი კოორდინაციის საფუძველზე... აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საპატრიარქოს როლი კვლავ უდიდესი იქნება.“**

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი**

შეუძლებელია, ქართველი იყო, საქართველო გიყვარდეს და არ დაეთანხმო ბატონ პრეზიდენტს. დემოგრაფიის მხრივ ისეთი საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს, სტატისტიკას რომ ჩავხედავ ხოლმე, უილაჯობისგან გული ძალუმად მიწყებს ცემას. ნეტავ, არასწორი ინფორმაცია მქონდეს, — 1 340 000 ეთნიკური ქართველი დავრჩენილვართ საქართველოში და ეს იმ ფონზე, როცა იმიგრირებულ უცხოელთა საგანგაშო „გამრავლება“ უკვე თვალსაჩინოა და თუ რაღაც შემაკავებელი კანონი არ მივიღეთ, ქართველები ერთმანეთს ეღარ ვიპოვით.

კი, ბატონო, სტუმართმოყვარე ქვეყანა ვართ და მეც თავს მირჩევნია სტუმარი, მაგრამ ისე არა, რომ გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდოს. დღევანდელი საგანგაშო მოცემულობით, საქართველო გაბრწყინდება კი არა, მრუმე სიშავეში გაეხვევა...

ამასწინათ მობილურით გადაღებული ჩანაწერი გავრცელდა, დიღმის მასივის ერთ-ერთ სტადიონზე შეკრებილი მუსლიმანები ნამაზს ასრულებდნენ. იმამი, მიკროფონით ხელში, არაბულად მოძღვრავდა თავის ხალხს. თბილისელისთვის, რაც ერთგვარი ტიტულია და არა დაბადების ადგილი, „რელიგიური შუღლი“ გაუგებარი ცნებაა. ამდენად, აქცენტი სხვა საკითხზე მაქვს — საქართველოში დამკვიდრებული მუსლიმანები მეჩეთებში ლოცულობენ დღემდე!

ასევე, თავიანთ საკულტო ნაგებობებში ლოცულობენ ყველა რელიგიური აღმსარებლობის მორწმუნეები მასპინძელი მართლმადიდებელი ქვეყნის მართლმადიდებელი მრევლის ჩათვლით. ეს ახალი „წესი“ შემოაქვს ვიღაცას!..

ყველას გვინახავს კადრები ევროპის ქალაქებიდან, როდესაც ქუჩა იკეტება იმის გამო, რომ ლოცვის დრო მოუვიდა კონკრეტული აღმსარებლობის ადამიანთა ჯგუფს. სანამ ჩვენთანაც უკონტროლო გამხდარა ეს ქმედებები და მისგან გამოწვეული საქმის გართულებები, ამას კანონით უნდა მიეხედოს!

ვინმეს თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ სირიაში, ირანში, ერაყში ან სადმე სხვაგან, მუსლიმანურ ქვეყანაში, მართლმადიდებელმა მღვდელმა საჯარო შეკრება მოაწყოს სტადიონზე და ქრისტიანული მოძღვრება წაუკითხოს შეკრებილ მრევლს, რა მოხდება?

სტუმართმოყვარეობა სიბრიყვეში არ უნდა გადავიდეს. სავარაუდოდ, ამ საკითხსაც გარე ზეწოლის გამო უვლიან გვერდს.

ვინაიდან ხალხის ნაწილი ვარ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, — საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვმგზავრობ; მე დავდივარ ბაზარში და ყველანაირ ბაზრობაზე, საცალო, საბითუმო, სამშენებლო და სხვა; საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, პირდაპირ მეხება ხალხისთვის სასიკეთოც და ხალხისთვის სახათაბალოც. საცობების გამო არცთუ ხშირად ვმგზავრობ ტაქსით და უკვე სამი ყაზახი, ორი ბელორუსი და ორი უკრაინელი მძღოლი შემხვდა. „გლოვოს“ კურიერებს რას გაარჩევ, სანამ არ მოვა და ხმას არ გაგცემს, მაგრამ როცა კანის ფერი განსხვავებულია, მასაც ხედავ, — ველოსიპედებით დადიან შეკვეთებზე...

არანორმალური მდგომარეობაა, ქართველები საქართველოს ტოვებენ და უცხოეთში მიდიან სამუშაოდ, უცხოტომელები კი საქართველოში ჩამოდიან და ისე ბედნიერად გრძნობენ თავს, თავიანთ ქვეყანაში დატოვებულ თანამოძმეებს ეპატიჟებიან, ერთი მოღუშული უცხოელიც არ შემხვედრია...

არ შემხვედრია არც მოხუცი ან ასაკოვანი უცხოელი, მხოლოდ აქტიური ასაკისანი არიან და აქტიურადაც მრავლდებიან...

სტუმართმოყვარე და ტოლერანტულ საქართველოს საკუთარი უცხოტომელიც მრავლად ჰყავს და დღემდე ჰარმონიულად იდგა გვერდიგვერდ სიონი, მეჩეთი და სინაგოგა.

ჯვრის მონასტერთან გადაღებული ვიდეოკადრები რომ ვნახე, გული შემიღონდა — რა ვალდებულება გვაქვს, რომ, ვთქვათ, ამ შემთხვევაში, პაკისტანელებს მასხრად ავაგდებინოთ თავი? იცით თუ არა, რომ პაკისტანი „ძალიან საშიში ქვეყნების“ ჩამონათვალში მეორე ადგილზეა სალვადორის შემდეგ? რომ ამავე სიის მოწინავე რიგებში არიან: მექსიკა, სამხრეთ აფრიკა, სომალი, ნიგერია და ყველა თავისუფლად გადი-გამოდის საქართველოში.

იცით თუ არა, რომ საქართველოში, იმ ბოლო მონაცემით, რაც მაქვს, ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია ქართველი ბერიძე 14 963 (მამაკაცი) და არაქართველი მამედოვი (14 482 მამაკაცი); მეორე ადგილზეა გვარი კაპანაძე (9 538) და ალიევი (9 298).

ქალებში პირველ ადგილზეა ბერიძე (15 059) და მამედოვა (13 487). ეს შეფარდება საქართველოში ნორმალურად მიგაჩნიათ?

ყველანი საქართველოს მოქალაქეები ვართ, მაგრამ ეთნიკურად რომ ეს მდგომარეობაა, არა უშავს? ერთ დღეს რომ გამოგიცხადებს სხვა ეთნოსი, უმრავლესობა მე ვარ, შენ უმცირესობა ხარო, მერე რას ვშვრებით, ომს ვიწყებთ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებთან?

არაფერს ვერჩი ამ ჩვენს მშრომელ და გამრჯე თანასამშობლოელებს, მაგრამ ბოროტი ორგანიზაციების ბოროტი ხელმძღვანელების ხელში უკვე არაერთხელ რომ დააპირეს ეთნიკურ ნიადაგზე შუღლის გასაღვივებლად მათი გამოყენება, კარგად მახსოვს. მაშინ მხოლოდ მათივე გონიერმა „კაცებმა“ განმუხტეს სიტუაცია, მაგრამ რომ აღარ მოინდომონ სიტუაციის დალაგება?! თურქეთიდან ლტოლვილი სომხების ასიმილაცია კახეთში ბუნებრივად მოხდა, სამცხე-ჯავახეთში — ნაწილობრივ, აზერბაიჯანელებისა კი, შედარებაც არ შეიძლება, სულაც არ/ვერ მოხდა...

საქართველოს გულშემატკივარი ქართველი ვარ, ამიტომ პირში ვუძრახი მთავრობას...

არ შეიძლება, კოპწია საქართველო ფარღალალა, ტალახიანი ფეხებით გადასაჯეგი ეზო იყოს! იუსტიციის სახლში შესვლა შემძულდა...

დიდ ბრიტანეთში საკითხი დაისვა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ უნდა შეზღუდოს იმიგრანტების მიღება, რადგან ისინი ნეგატიურ გავლენას ახდენენ ბრიტანეთის კულტურულ, სოციალურ და გენეტიკურ მდგომარეობაზე. საქართველოზე არ ახდენენ?

ყველა უბედურება, რაც გვჭირს, საქართველოს ყველა იმ მთავრობის დანაშაულია, რომლებმაც დამოუკიდებელი საქართველოს აშენებაზე ფიქრის ნაცვლად, საკუთარი ცხოვრების აშენება დაისახეს მიზნად...

ახლა, ამ „ქართულმა ოცნებამ“ ძლივს რომ გამოიხედა თვალებში და ხელ-ფეხი გაეხსნა, რომელ ერთ გაფუჭებულ საქმეს მიხედოსო? — იკითხავს მავანი. უმარტივესია, — ამდენი მინისტრი და მათზე დაქვემდებარებული უწყებები რისი მაქნისი არიან, თუ საქმეებს არ მიხედეს? ყველამ თავისი განხრით აკეთოს საქმე და ყველაფერი ერთად კალაპოტში ჩადგება.

არ შეიძლება აიჩემო სიტყვა „მენეჯერი“ და ყველა სფერო მენეჯერული უნარების მქონე ადამიანებს ჩააბარო. რანაირად შეიძლება, უნარებს დაეყრდნო და არა სპეციფიკურ ცოდნა-გამოცდილებას!

განათლების მინისტრი რომ იურისტია და მოადგილეებადაც იურისტები ჰყავს, განათლების სფეროს რაში არგია, ამ დარგს, რომელსაც განსაკუთრებული პატრონობა სჭირდება, რანაირად უნდა მიხედონ?! მაშასადამე, უნდა შევეგუოთ იმას, რომ მოზარდების გამოთაყვანება გაგრძელდება, გამოთაყვანებული ზრდასრული მოქალაქე კი როგორი ძნელად გასაკონტროლებელი ტვირთია იმავე სახელმწიფოს მიერ, რომელმაც გამოათაყვანა, ვხედავთ.

შესაძლოა, ყველაფერს ეშველოს, მაგრამ ქართველების გამრავლებას რა ეშველება, ამ საქმეში „მენეჯერიც“ უძლურია... ეს არის ის უდიდესი პრობლემა, რაც, უპირველესად, სახელმწიფოს თავსატკივარია!




თუ ასეთი გაუსაძლისი პირობებია გასამრავლებლად, ქართველებიც იმავე საქართველოში არ ვცხოვრობთ, სადაც სხვა ერის წარმომადგენლები ასე „წარმატებით“ მრავლდებიან?

2024 წლის 1-ელი იანვრის მონაცემებს დახედეთ და გამრავლება-შემცირების ციფრებს დააკვირდით. ეს კატასტროფაა!

1991 წლიდან დღემდე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ჩვენზე უარეს დღეში მხოლოდ უკრაინა, მოლდოვა და ლატვია არიან. აქვეა ევროპის 2023 წლის მონაცემები. რომელ ქვეყნებშიც მნიშვნელოვანი მატებაა შობადობაში, იმათ მაინც ჩაეკითხონ, თუ უცხოტომელების ხარჯზე არ იმატეთ თქვენც, რანაირად დააინტერესეთ ოჯახები, რომ უნდა გამრავლდნენო...

გავმრავლდეთ კი არა, ისეთი „გენდერული კანონი“ გვადევს თავზე გამიზნულად, ოჯახები ერთი კამათის გამო რომ დაინგრეს. რამდენი ათასი მამაკაცია გაწირული თანამეცხედრესთან ერთი კამათის გამო და დაინგრა ოჯახი, დათვლილია და მავანთათვის, მოსაწონია, ეტყობა. ვატყობ, ისევ ამ თავსმოხვეული ენჯეოშნიკური წნეხის ქვეშ არის მოქცეული საქართველოს პარლამენტი. ამიტომაც ვერ ძრავს სიტყვას მოძალადე ქალების მიერ დაჩაგრულ კაცებზე.

როდესაც პრიორიტეტად ორსულობის, მშობიარობისა და დეკრეტული პერიოდია მიჩნეული და იმის იქით აღარავითარი შეღავათი და მხარდაჭერა აღარ არის, შობადობის სტიმული ვერ იქნება. სახელმწიფო ოჯახების და არა მხოლოდ ქალისა და კაცის კეთილდღეობაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

რევოლუციამდელი საქართველოს 2 მლნ მოსახლეობა „საბჭოთა მონობაში“, 1998 წლისთვის რანაირად გავხდით 5 მილიონ 443 ათასი, ძნელი გადასახედია? მე კი

**Как изменилась численность населения стран постсоветского пространства**

| млн человек | 1991 | | | 2024 |
|---|---|---|---|---|
| Россия | 148,5 | ↘ | -2,49% | 144,8 |
| Украина | 52 | ↘ | -27,12% | 37,9 |
| Узбекистан | 20,9 | ↗ | +79,43% | 37,5 |
| Казахстан | 16,4 | ↗ | +23,17% | 20,2 |
| Таджикистан* | 7,2 | ↗ | +43,06% | 10,3 |
| Азербайджан | 5,4 | ↗ | +88,89% | 10,2 |
| Беларусь* | 10,1 | ↘ | -9,9% | 9,1 |
| Кыргызстан | 4,4 | ↗ | +65,91% | 7,3 |
| Туркменистан* | 3,7 | ↗ | +70,27% | 6,3 |
| Грузия* | 4,8 | ↘ | -22,92% | 3,7 |
| Армения | 3,5 | ↘ | -14,29% | 3 |
| Литва | 3,7 | ↘ | -21,62% | 2,9 |
| Молдова | 4,3 | ↘ | -44,19% | 2,4 |
| Латвия | 2,6 | ↘ | -26,92% | 1,9 |
| Эстония* | 1,5 | ↘ | -6,67% | 1,4 |

*Данные на 1 января 2024 года

Источник: Государственные службы статистики стран, countrymeters.info

# გოგი თოფაძის ხსოვნას



84 წლის ასაკში გარდაიცვალა **გოგი თოფაძე** – პოლიტიკოსი, მეწარმე და საზოგადო მოღვაწე. ადამიანი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბატონი გოგის ცხოვრება იყო დიდი შრომისა და წარმატების გზა. მისი სახელი კი სამუდამოდ დარჩება ქართული ბიზნესისა და პოლიტიკის ისტორიაში.

**„საერთო გაზეთი“** მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი ერთგული მეგობრისა და რესპონდენტის, შესანიშნავი პიროვნების, ცნობილი ბიზნესმენის, ქველმოქმედისა და მეცენატის, **გოგი თოფაძის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მშვიდობით, ბატონო გოგი.

**„საერთო გაზეთი“**

# წელიწადი უშენოდ...

ჩვენო მარო, მარინე, მარგალიტა, ბაბე!

უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წახვედი და მარადიულობაში დაიდე ბინა...

მთელი ერთი წელი უშენოდ და შენ გარეშე...

შენი წასვლით გამოწვეული ტკივილი ისევ ულმობელი და მოუნელებელია...

უფრო და უფრო მძლავრობს შენი მონატრება და შენი ნახვის სურვილი... მარტო ნახვისა კი არა, შენთან ჩახუტების, შენი სურნელის შეგრძნების, შენი სანუგეშო სიტყვების, შენი კისკისის მოსმენის და უბრალოდ, შენთან ყოფნის სურვილიც კი...

შენიანებისთვის, შენი რომეოსთვის, მარიამისთვის, გიორგისთვის და შენი ცუგრუმელა გოგუცანებისთვის - ნინისთვის, ელისთვის და მილასთვის, შენი დებისთვის, ძმისთვის და მათი მრავალრიცხოვანი მონაგარისთვის (რა თქმა უნდა, აქ რძლები და სიძეებიც იგულისხმება...), რომლებზეც უდიდესი ამაგი გაქვს გაწეული, რა ძნელია უშენობა და რასაც განიცდიან, შენ უკეთ იცი…



ბოლო ორი წელი ხშირად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს...

შენს სამზარეულოში, რომელიც მუდამ სინათლით, მზით და სამების ეკლესიის მადლით იყო სავსე, ბევრი სასიამოვნო და დაუვიწყარი წუთი გაგვიტარებია — გვიცინია, ერთმანეთისთვის ჩვენი ამბებიც გვიამბია, გვინუგეშებია, ერთმანეთისთვის ჭკუაც დაგვირიგებია (აქ „დაგვირიგებია“ ნიშნავს, რომ გაგვინაწილებია) და პრობლემებიდან გამოსავალიც გვიპოვია… ერთურთის სიხარული გვახარებდა და ტკივილიც საზიარო გვქონდა...

რაც შენ მიგვატოვე, ჩვენი შეხვედრები იშვიათი გახდა, რადგან უშენობა ძალიან გვიჭირს, თითქოს შენ გარეშე ერთმანეთის ნახვას გავურბივართ. გვინდა, რეალურად ჩვენთან იყო (მიუხედავად იმისა, ვიცით და ვგრძნობთ, რომ შენ ყოველთვის ჩვენთან და ჩვენს გვერდით ხარ), რადგან ეს საკმარისი არ არის…

ჩვენი შეხვედრები ტრადიციული „დღის წესრიგით“ მიმდინარეობს, ვათვალიერებთ ხოლმე ჩვენს ფოტოებს, ვუყურებთ ვიდეოებს (განსაკუთრებით ის ვიდეო გვიყვარს, სადაც შენ გოგიზე, ჩვენს გიორგი ივანიჩზე ლაპარაკობ, მერე კი ამბობ, „ბელა, ნუ მიღებ!“ - ამ ვიდეოს რამდენჯერმე ზედიზედ ვუყურებთ ხოლმე და თითქოს შენი მონატრება ოდნავ ნელდება კიდეც...) და ვიხსენებთ ყველაფერს, რაც შენთან გვაკავშირებდა, რაც გვითქვამს, მომხდარა, გაგვიკეთებია, თავს გადაგვხდომია და ბევრს ვიცინით და ვტირით ხოლმე... და იმაზეც ვწუხვართ, პარიზში ერთად წასვლა რომ არ დაგვცალდა (აქ არ გავამხელ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რატომაც მივდიოდით...). თუმცა, რას გიყვები, შენ ხომ მართლა ჩვენთან ერთად ხარ...

როცა ამ წერილის დაწერა დავაპირეთ, ვიფიქრეთ, რომ ბევრ რამეს მოგწერდით, მაგრამ სიტყვები თითქოს სადღაც გაფრინდნენ, სადღაც, თუ შენთან გამოფრინდნენ?!

მეტი რა მოგწეროთ, აღარ ვიცით. ისევ ისე და უფრო ძლიერად გვიყვარხარ, გვახსოვხარ, გვენატრები...

**შენი ბელები**

ვიცი, მაგრამ ეს არაფერს წყვეტს...

სასტუმროების ბუმია, ძალიან ბევრ სტუმარს ველით, ეტყობა, მაგრამ მასპინძლებად ქართველები რომ აღარ დახვდებიან, ეს ამბავი როგორ წარმოუდგენია საქართველოს მთავრობას. არა უშავს? წაგვლეკეს ინდუსებმა, ირანელებმა, ერაყელებმა, პაკისტანელებმა, და ა. შ. ზოგს კი მხოლოდ რუსი ელანდება, ყველა სლავური განშტოება „რუსში“ გააერთიანეს. ნეტავ, რა მნიშვნელობა აქვს უსამშობლოსთვის, ვინ გახდება საქართველოს დამპყრობელი, რუსი თუ — უაგადუგუელი...

ერთხანს ავსტრიის პარლამენტში წამოჭრა საკითხი რომელიღაც დეპუტატმა, მაგრამ არ აჰყვნენ, რადგან ძალზე საფრთხილო თემაა და ისიც ჩაჩუმდა. არადა, ძალზე აზრიანი რამ თქვა პენსიების შესახებ. როდესაც ავსტრიიდან მიდის ახალგაზრდა და უკან ბრუნდება საპენსიო ასაკის, ავსტრიამ რატომ უნდა გადაუხადოს პენსია, ვისაც თავისი ცოდნა და ენერგია მოახმარა, იმ სახელმწიფომ გადაუხადოსო. ისეთი ტექსტი იყო, რომ იკითხებოდა: ვერ გავიგე, ავსტრია ყოფილი ემიგრანტების საპენსიო განყოფილება და სასაფლაოაო? — რა ვქნა, მკაცრად ეროვნული ვარ რიგ საკითხებში და ვეთანხმები ავსტრიელ კანონმდებელს... „თეთრი ბაირაღები“ გამახსენდა, „გამოდის, საქართველო თქვენი სასაფლაო ყოფილაო“, — ტიგრანას რომ ეუბნება ლიმონა...

თავდაპირველად, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემდეგ ავტომატურად რომ კარგავდნენ ქართველები საქართველოს მოქალაქეობას, ძალიან ცუდი აღსაქმელი იყო. შემდეგ, ორმაგი მოქალაქეობა რომ დაუშვეს, ყველას გაგვიხარდა, მაგრამ ახლა ისე გამოდის, როგორც იმ ავსტრიელმა დეპუტატმა თქვა, საქართველოს მოქალაქეობა მხოლოდ საგვარეულო საფლავზე დასაკრძალად უნდათ...

იცით თუ არა, რომ ახალგაზრდებს თავში იმდენად აქვთ გამჯდარი წარმოსახვა, რომ ევროპაში პრინცესებად იქცევიან, ყველას თეთრცხენიანი პრინცი ელოდება, დაოჯახება აზრად არ მოსდით. თუ ჰორმონები შეაწუხებთ, ამისთვის ოჯახი არ არის საჭირო, მით უმეტეს, მარტოხელა დედობის „აკიდება“ რაღა „გოიმობაა.“

ემიგრანტებმა გადაარჩინეს საქართველო და ბევრი მათგანი დღემდე საქართველოსა და აქ დატოვებული ახლობლების მონატრებით ათუნ-აღამებს, მაგრამ ეს „საქართველოს მხსნელთა“ კატეგორიაა, თითოეულმა მათგანმა თავის წილად არაერთი ადამიანი რომ გადაარჩინა.

სამშობლოს ღალატი მხოლოდ ის არ არის, რომ საიდუმლო სახელმწიფო ინფორმაცია გასცე, ან საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ იარაღი აიღო, სამშობლოს ღალატია ისიც, როცა სამშობლოს უჭირს და გაჭირვებაში მიატოვებ...

რაც მაწუხებს, ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვისთვისაც სამშობლო მხოლოდ დაბადების ადგილი არ არის...

ერთი დანამდვილებით ვიცი — კუჭზე სამშობლოს გამცვლელი უკვე უსამშობლოა, უსამშობლო კი უსამშობლოებს გაამრავლებს...

**მაია ჭელიძე**

# იურიდიული რჩევები

## თქვენს შეკითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

**- უკანონო მშენებლობის გამო დავჯარიმდი. მაქვს თუ არა უფლება, გავასაჩივრო მუნიციპალიტეტის ინსპექციის საჯარიმო ქვითარი და, პირველ რიგში, სად?**

- აღნიშნულის შესახებ თქვენ შეგიძლიათ საჩივრით ჯერ მიმართოთ მერიის იურიდიულ სამსახურს და თუ თქვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, გაასაჩივროთ სასამართლოში ადმინისტრაციული წესით.

●

**- მერიის სატრანსპორტო სამსახურმა ამომიწერა საჯარიმო ქვითარი. მინდა გავასაჩივრო აღნიშნული აქტი, რადგან არ ვეთანხმები. დამემატება თუ არა საურავი გასაჩივრების პერიოდის განმავლობაში?**

- გასაჩივრების შედეგად აქტის მოქმედება ჩერდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის საფუძველზე. თუმცა, მაინც უნდა მიუთითოთ შუამდგომლობით თქვენ საჩივარში, რომ დავის დასრულებამდე ზედმეტი თანხა არ დაგეკისროთ.

●

**- სასამართლომ დამატებით სანქციად გამოიყენა მანქანის ტარების უფლების შეზღუდვა. არადა, ვმუშაობ ტაქსიზე. სხვა საქმე არ ვიცი. როგორ და სად გავასაჩივრო ეს გადაწყვეტილება?**

- აღნიშნული შეგიძლიათ გაასაჩივროთ იმავე მოსამართლესთან, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო და წარუდგინოთ იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ თქვენ სხვა შემოსავალი არ გაქვთ და მოითხოვოთ, ამ ნაწილში აკრძალვა მოგიხსნათ. ასევე, თქვენ უფლება გაქვთ, მიმართოთ საპატრულო პოლიციას ამავე შუამდგომლობით და ითხოვოთ პატიება.

●

**- სასამართლომ დამიდგინა ბავშვის ნახვის უფლება, როგორც მამას, მაგრამ ბავშვის დედა მაინც არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ვის მივმართო აღნიშნულის აღსასრულებლად ?**

- ასეთ შემთხვევაში, აღსრულების საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. აღსრულების დროს წარმოშობილი რთული ვითარების შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად მზრუნველობის ორგანო სამართალდამცავებთან ერთად აღასრულებს მას.

●

**- განვქორწინდი მეუღლესთან. მაქვს თუ არა უფლება, დავიბრუნო ჩემი მზითევი?**

- რა თქმა უნდა, გაქვთ მზითვის გამოთხოვის უფლება, ხოლო თუ მეორე მხარე ამის წინააღმდეგია, მისი (მზითევის) დაბრუნების შესახებ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს.

●

**- მეუღლე ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელია. მაქვს თუ არა უფლება, შევუზღუდო გარიგებების დადების უფლება, რადგან მის სახელზე არაერთი ავტომანქანა ირიცხება. როგორ მოვიქცე?**

- ასეთ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს, გამოითხოვოთ ცნობები იმის შესახებ, სად გადის თქვენი მეუღლე მკურნალობას და ა. შ. ამის შედეგად, უფლება გაქვთ, სასამართლოს მოსთხოვოთ მისი უფლებაუნარიანობის შეზღუდვა, რომ მან გარიგებების დადება ვერ შეძლოს.

●

**- კერძო საფინანსო სამსახურმა სასამართლოს მეშვეობით დამაკისრა თანხის გადახდა და ქონებაზე ყადაღა დამიდო. ამავე დროს, ვარ სოციალურად დაუცველთა სიაში. აქვს თუ არა უფლება საფინანსო ორგანიზაციას, ამ პირობებში ჩემი ქონება იძულებით აუქციონზე გაიტანოს?**

- სააღმსრულებლო წარმოებათა შესახებ კანონის 45-ე მუხლის თანახმად, ასეთ შემთხვევაში უნდა მიმართოთ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვოთ ქონებაზე ყადაღის მოხსნა, ვინაიდან სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირის ქონების იძულებითი რეალიზაციის უფლება აუქციონზე, გარდა იპოთეკური და გირავნობის სესხისა, არავის აქვს.

**ტელ: 555 75-04-45**

**გთხოვთ, შეკითხვები გამოაგზავნოთ გაზეთის ელექტრონულ ფოსტაზე: saertogazeti@yahoo.com**



# ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, ქართულ პოლიტიკას ცივილური სახე დაუბრუნოს

ბიძინა ივანიშვილის მილიარდები საერთოდ არაფერ კავშირში არ არის იმ კონცეფციასთან და იმ მსოფლმხედველობასთან, რომელიც ივანიშვილს, როგორც პოლიტიკოსს, უალტერნატივო და ერთადერთ საშუალებად მიაჩნია გამარჯვების მისაღწევად.

ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს ღირსეულ გამარჯვებამდე რთული და ძნელი გზის გავლა შესთავაზა, ერთი აუცილებელი პირობით — ამ გზას იგი ქართველ ხალხთან ერთად გაივლის და ყველა იმ გასაჭირს, ყველა იმ ხიფათს გაიზიარებს, რაც ამ გზაზე მის თანამგზავრ ქართველ ხალხს შეხვდება.

როგორც ვთქვით, მას სრულიად უმტკივნეულოდ შეეძლო, თავი აერიდებინა ამ სახიფათო გზის გავლისთვის და სასახლიდან გამოუსვლელად, რბილ სავარძელში ჩამჯდარს მიეღო იმდენი ძალაუფლება, რამდენსაც მოისურვებდა, მაგრამ მან უარი თქვა ამ კომფორტულ ცდუნებაზე და თავისი თავის, როგორც პოლიტიკოსის, შექმნა და გამოძერწვა საკუთარი ხელით ირჩია.

ეს გზა, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, ერთგვარი გამოცდის და სულიერი წრთობის გზაც არის და იმის მინიშნებაც, რომ არ შეიძლება გამარჯვებას ერთბაშად მიადგე — სანამ გამარჯვებამდე მიხვალ, რაღაც გზა უნდა გაიარო, რომ ბევრი ფიქრი მოასწრო, თუნდაც შეცდომების დაშვება მოასწრო, რომ მერე ისწავლო ამ შეცდომებზე და გამარჯვებამდე ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი მიხვიდე.

ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, მოსულიყო პოლიტიკაში და დაეწყო ნულიდან, დაეწყო სუფთა ფურცლიდან, არის გადაწყვეტილება იმ კაცისა, რომელმაც ასევე ნულიდან დაიწყო ბიზნესი და საკუთარი შრომით, ნიჭიერებით, გამჭრიახობით, მიზანსწრაფულობით და, რაც მთავარია, წესიერებით, ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახდა.

ბიძინა ივანიშვილის კრედო, მისი ფილოსოფია შემდეგში მდგომარეობს: ადამიანმა თვითონ უნდა „ააშენოს" ტაძარივით საკუთარი თავი, თვითონ უნდა სრულყოს და დახვეწოს ისე, რომ ამ ტაძარმა დროს გაუძლოს და თანამედროვეთათვის და მომავალი თაობებისთვის ორიენტირად იქცეს.

* * *

ბიძინა ივანიშვილსაც ბევრი ჭკუის დამრიგებელი და მრჩეველი გამოუჩნდა, რომლებიც თავიანთ წმინდათაწმინდა მოვალეობად თვლიან, ასწავლონ პოლიტიკოს ივანიშვილს, როგორ უნდა აკეთოს პოლიტიკა, ვინ დაიყენოს გვერდით, ვინ შერისხოს, როგორ ილაპარაკოს და რაზე ილაპარაკოს...

არადა, დროის ამ უმცირეს მონაკვეთში, ბიძინა ივანიშვილმა დაამტკიცა, რომ ის უკვე შედგა, როგორც ნიჭიერი პოლიტიკოსი, რომელიც არც თავისი წინამორბედებიდან და არც თავისი თანამედროვეებიდან არავის არ ჰგავს.

**ბიძინა ივანიშვილი** არის სრულიად ახალი პოლიტიკური აზროვნების და ახალი პოლიტიკური კონცეფციის პოლიტიკოსი, რომელიც ცდილობს, ქართულ პოლიტიკას ცივილური სახე დაუბრუნოს.

ვიღაცები მას უკან, პოლიტიკური ჯუნგლებისკენ მიექაჩებიან, მაგრამ მას ზუსტად აქვს განსაზღვრული სამოქმედო გეგმა და ის ამ გეგმიდან არ გადაუხვევს.

* * *

მოსემ ორმოცი წელი ატარა ებრაელი ერი უდაბნოში.

ჩვენც გვაქვს გასავლელი ჩვენი ქართული უდაბნო, ამიტომ კი დიდი მოთმინება და სულიერი სიმტკიცეა საჭირო.

**ვახტანგ ხარჩილავა**
„სგ" N24. 2012 წ.

# მან ქართველი ერის სულიერი ავტოპორტრეტი შექმნა...

მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს, რომ წმიდა სამების საკათედრო ტაძრის, ამ დიდი და ლამაზი ტაძრის აშენებით ქართველმა ერმა თავისი სულიერი ავტოპორტრეტი შექმნა.

რას ნიშნავს ავტოპორტრეტი?!

ავტოპორტრეტებს მხატვრები ხატავენ. ხელოვანი თავისი ავტოპორტრეტით საზოგადოებას აჩვენებს, როგორ ხედავს ის თავის თავს. ქართველმა ხალხმა კი ჩვენი სულიერი მამის, მისი უწმიდესობის განმარტებით, წმ. სამების საკათედრო ტაძრის შექმნით მთელ მსოფლიოს აჩვენა თავისი თავი, აჩვენა, თუ როგორ ხედავს ის თავის თავს, ვინ არის სულიერად, რა არის მის სულიერ სამყაროში მთავარი.

მე პროფესიით არქიტექტორი გახლავართ, მაგრამ ჩემმა მეუღლემ, ლადო ანდრონიკაშვილმა, რომელიც ცნობილი მეან-გინეკოლოგი იყო და ადამიანებისთვის თავგანწირული, ჩემი პროფესია დამავიწყა... მაგრამ მისი უწმიდესობის სიტყვების შემდეგ, მე, როგორც არქიტექტორი, დავფიქრდი რაღაც დიდი აზრი უნდა იყოს ჩადებული ამ სიტყვებში: „წმიდა სამების ტაძრის სახით ქართველმა ხალხმა შექმნა თავისი სულიერი ავტოპორტრეტი".

როცა განათებულ ჩვენს ულამაზეს დედაქალაქს, ღამის თბილისს გახედავს კაცი, შინაური თუ მოსული, შეუძლებელია სამების ტაძარზე არ შეუჩერდეს თვალი. ეს მადლიერება უკვდავად დაიმსახურა ბატონმა ბიძინამ და ეს მადლიერება შეეწევა მის ოჯახსა და შთამომავლობას.

— მისმა უწმიდესობამ ბიძინა ივანიშვილს მის მიერ აშენებულ ტაძარში გადაუხადა ჯანმრთელობის პარაკლისი.

ამას წინათ დიდი ქველმოქმედის მთელი ოჯახი იდგა უწმიდესის მიერ აღსრულებულ წირვაზე სამების დიდ ტაძარში. მისი ოთხი შვილიდან ყველაზე უმცროსი — ცოტნე ივანიშვილი ანთებული სანთლით ხელში შემოფრენილ ანგელოზს ჰგავდა.

ცოტნე დადიანი ჰყვარებია ბატონ ბიძინას. საქართველოს ეროვნული გმირი. მისი სახელი დაურქმევია თავისი მესამე ვაჟისთვის...

ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან რთულ დროში, როცა ძალიან ხშირად ესა თუ ის კეთილი იდეა თავის თავს არ ნიშნავს და ასევე, ესა თუ ის კეთილქმედებაც შეიძლება არ ნიშნავდეს თავის თავს. ამიტომ დღეს ქართველი ხალხი გაფაციცებით ადევნებს თვალს ბატონი ბიძინა ივანიშვილის ყოველ სიტყვასა და მოქმედებას.

მინდა მჯეროდეს, რომ ცოტნე დადიანის უკვდავი სულია პატარა ანგელოზივით შემოფრენილი — პატარა ცოტნე ივანიშვილის მფარველი ანგელოზი. მინდა მჯეროდეს, რომ პატარა ცოტნე და მისი ქველმოქმედი მამა წმიდა სამების მადლით რეალობაზე აღმატებული სასწაულის ქმნას შეძლებენ და საკუთარი ქვეყნის სიყვარულით შეაჩერებენ ჩვენს თავზე დატეხილ კაცთმოძულეობის ნიაღვარს.

არ გაგვწირავს წმიდა სამება! მინდა მწამდეს, რომ ქართული ოცნება ერთად აუხდება ბატონი ბიძინა ივანიშვილის ოჯახსაც და ქართველ ხალხსაც.

**ლამარა ანდრონიკაშვილი**
„სგ" N24. 2012 წ.



## ბატონო ბიძინა, გილოცავთ დაბადების დღეს!

**თქვენი მოღვაწეობა უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის განსამტკიცებლად. თქვენი ძალისხმევა პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში, განათლებასა და საქველმოქმედო საქმიანობაში მაგალითია იმ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა, რომელსაც თქვენ დიდი ღირსებით და შემართებით ატარებთ.**

**ქართველ ხალხს კარგად ახსოვს და ყოველთვის დააფასებს თქვენს ღვაწლს, ქველმოქმედებასა და იმ ნაბიჯებს, რომლებიც ქვეყნის წინსვლისა და ქართული ფასეულობების განმტკიცებისკენ არის მიმართული. თქვენი მხარდაჭერა და თანადგომა ბევრისთვის იქცა სიძლიერისა და იმედის წყაროდ.**

**გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმტკიცეს, წარმატებას და ბედნიერებას!**

**დაე, თქვენი ყოველდღიურობა სავსე იყოს სიხარულითა და სიკეთით!**

მადლიერი მკითხველის სახელით, „საერთო გაზეთი"

„საერთო გაზეთის" მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი". კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მთავარი რედაქტორი: ვჟანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი"
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99